ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 სექტემბერი 2004 №225 (2246) ფასი 50 თეთრი

# თამაში ყურებზე თხლად დაჭრილი ხახვით

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## მანჩესტერმა ფენერს უნდა დაუბრუნოს



უეინ რუნის ალექს ფერგიუსონმა მანჩესტერული დებიუტი შესაძლოა, დღეს მოუწყოს

დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტური იწყება და მატჩებია, ისტორიული ფესვი და შუღლი რომ მოუკიდებიათ.

თუნდაც ის ვთქვათ, რომ დღეს „მონაკო“ — „დეპორტივოა“ — ლიგის წინა გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე „მონაკომ“ 8:3 გადალუნა „დეპორტივო“.

დღეს „ბაიერნი“ — „აიაქსია“. ეს ტიტანები ბოლოს 1995 წელს დაეძგერნენ ერთმანეთს ლიგის ნახევარფინალში— 0:0 და 2:5 — ასე დამარცხდა ბავარიის და სრულიად გერმანიის საკლუბო ფლაგმანი.

დღესვეა „რეალი“ — „რომა“ და აქაც ისტორია — 2002-2003 წლების სეზონში „რომამ“ 1:0 მოუგო მადრიდელებს მადრიდში. ახლა ამ გუნდებს კარგი დრო არ უდგათ, მაგრამ „რეალი“ და „რომა“ ყოველთვის „რეალი“ და „რომაა“.

კიდევ „მანჩესტერი“ — „ფენერბაჰჩეა“ და თურქებს თავი მოაქვთ, სერ ალექსის გუნდისთვის „ოლდ ტრეფორდზე“ ყურებზე ხახვი უკვე დაგვიჭრიაო...

## უფულო მსაჯებმა გაფიცვა დაიფიცეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექსგენმდივანმა ანდრო აბაშიძემ ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ფაქტობრივად უეფას გრანტების გახვრაში რომ დაადანაშაულა, გუშინდელი ამბავია. ახალი კი ისაა, რომ აბაშიძის ახალი მემკვიდრე და აბაშიძემდელი გენმდივანი ვალერი ჩოლარია დღეს შვეიცარიაში გაფრინდა — სადღესოდ ფიფა-უეფადან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყველანაირი ფინანსური დახმარება შეწყვეტილი აქვს და ჩოლარიაც შვეიცარიაში ფიფა-უეფას დიდმოხელეებს უნდა შეხვდეს.

კიდევ ის, რომ ფედერაციის უფროსობას მხოლოდ ექსგენმდივანი როდი უჩივის — მსაჯებს ფედერაციისგან კუთვნილი გასამრჯელო არ მიუღიათ და, დავიფიცეთ, გავიფიცებითო, იმუქრებიან.




## ლადო ბურდული ვისლას მატარებლიდან უყურებს

„დინამო“ – „ვისლა“ ახლოვდება, ბოლო წლების „დინამოსთვის“ ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი და ბილეთებიც იყიდება. თბილისის ბილეთები უკვე ნაყიდი აქვთ კრაკოველებსაც – პოლონეთის ჩემპიონი ხვალ, მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩამოვა თითქმის უძლიერესი შემადგენლობით.

„დინამოში“ კი რეორგანიზაცია გრძელდება – ეროვნული გუნდის წევრი ლადო ბურდული დინამოელი აღარაა და, რაღა თქმა უნდა, „ვისლასთანაც“ ვერ ითამაშებს – 23 წლის ნახევარმცველი თბილისის „ლოკომოტივმა“ ინათხოვრა. ბოლო დროს ბურდული „დინამოს“ ძირითადში იშვიათად თამაშობდა, კრაკოვურ მატჩშიც არ გასულა მინდორზე, სათადარიგო გახლდათ და „დინამო“-ბურდულის გაყრაც მოულოდნელი მხოლოდ იმით თუ არის, რომ ეს ზედ „ვისლასთან“ თბილისური მატჩის წინ მოხდა.



## უეფას თასი 2004-2005
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 30 სექტემბერი. ეროვნული

### დინამო — ვისლა

# დაიჭირე თადარიგი, აირიდე რიგი

**30 სექტემბერს** „ეროვნულზე" „დინამო" — „ვისლაა". თბილისელებმა მინიმალური ანგარიშითაც, 1:0, 2:1, 3:2 რომ მოიგონ, უეფას თასის ჯგუფურ, ხუთგუნდიან ეტაპზე ითამაშებენ.

„დინამოს" კრაკოველებთან მოსაგებად ხალხი, ქომაგი სჭირდება და ფეხბურთელებს იმედი აქვთ, რომ 22 ათასი დასაჯდომი ადგილი ბოლომდე შეივსება. ბილეთები 3, 5, 7 ლარი ეღირება და უკვე იყიდება.

მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი დღესდღეობით არც ერთ არხზე არ იგეგმება.

„დინამო" — „ვისლაზე" წესრიგს უსაფრთხოების კერძო სამსახური „ალიგატორი" და პოლიცია დაიცავენ. პოლონელ ქომაგებს კი სტადიონზე ცალკე, ქართველებისგან მოშორებით დასხამენ.

შევიტყვეთ, რომ 30 სექტემბრის მატჩზე დასწრებას აპირებს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და იქნებ ეს ამბავიც გაითვალისწინოთ და სტადიონზე მისასვლელად თადარიგი ადრევე დაიჭიროთ.

**კობა ინასარიძე**

# ექიმებმა კვირკველია და დინამო დაამშვიდეს

**„ვისლასთან"** საპასუხო მატჩში ალბათ დავით კვირკველიაც ითამაშებს. თუ გახსოვთ, დავითს „ლოკომოტივთან" ჩემპიონატის მატჩისას ფეხის კუნთი დაეჭიმა და ნახევარი საათის შემდეგ შესაცვლელიც შეიქნა.

კვირკველიას მას შემდეგ მკურნალობდნენ და ექიმებს საბოლოო პასუხი კითხვაზე, ითამაშებს თუ არა ის „ვისლასთან", გუშინ, განმეორებითი რენტგენის შემდეგ უნდა ეთქვათ: თქვეს კიდეც — ფეხბურთელის ტრავმა არცთუ ისე საგანგაშოა და ხუთშაბათამდე კვირკველია მომჯობინდებაო.

გუშინვე დავით კვირკველიამ „დინამოსთან" ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა და თუ 30-მდე ტრავმა არ გაურთულდა, დინამოელებს მისი გარჯა მნიშვნელოვნად შეეწევათ.

**კობა ინასარიძე**

# ლადო ბურდული ლოკომოტიველი და გამონაკლისია



*ლადო ბურდული თბილისის „ლოკომოტივში" ითამაშებს. ეს ამბავი გუშინ საბოლოოდ გადაწყდა. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა, გაანათხოვრა.*

*ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრთა ნებართვით, ლადო ბურდულს, საქართველოს ნაკრების კანდიდატს, როგორც გამონაკლისს უფლება მიეცა, ითამაშოს სხვა კლუბში.*

*გუშინ ლადომ პირველად ივარჯიშა „ლოკომოტივში" და როგორც უკვე რკინიგზელმა „სარბიელს" უთხრა: — ყველაფერი მოგვარდა, მადლობა „დინამოს", რომ უპრობლემოდ გამანათხოვრა და ამით თამაშის საშუალება მომეცა. ახლა სავარჯიშოდ ვემზადები, მომავალ ტურში კი „ლოკომოტივის" მაისურას მოვირგებ, თუ რა თქმა უნდა, მწვრთნელი მათამაშებს.*

— როდემდე გაგანათხოვრა „დინამომ"?

— ამ წლის ბოლომდე „ლოკომოტივში" ვითამაშებ.

— მერე?

— მერე რუსეთში წავალ. რამდენიმე კლუბი უკვე მეპატიჟება, მაგრამ სატრანსფერო სეზონი იქ დახურულია და იძულებული ვარ, ჯერ საქართველოში დავრჩე.

— ზამთრის სატრანსფერო სეზონისას რამე რომ შეიცვალოს და არც ერთმა გუნდმა არ მიგიწვიოს, მაშინ რას აპირებ?

— ახლა ყველაზე ნაკლებად ამაზე ვფიქრობ. მჯერა ჩემი შესაძლებლობების და მჯერა იმ კლუბებისაც, რომლებიც მეპატიჟებიან. ჩემთვის ახლა მთავარია, საქართველოს ნაკრებს გამოვადგე.

— კი მაგრამ, ამდენი ხნის უთამაშებელი ფორმას როდის აღიდგენ?

— არ ვთვლი, რომ სათამაშო ფორმა დაკარგული მაქვს. ტრავმის შემდეგ უკვე საკმაო დრო გავიდა, ფიზიკური კონდიციებიც დავიბრუნე და ვფიქრობ, არცთუ ურიგო ფორმაში ვარ. „დინამოში" ორიოდე მატჩი ვერ ვითამაშე, მაგრამ ახლა უკვე „ლოკომოტივში" ვარ და იმედი მაქვს, რეგულარულად ვითამაშებ.

— მოკლედ, ზამთრამდე როგორც „ლოკომოტივის" ფეხბურთელს, ისე უნდა გელაპარაკოთ?

— დიახ, უახლოეს ტურში „ლოკომოტივის" მაისურით ვითამაშებ.

**კობა ინასარიძე**

## di_na_mo_fan@hotmail.com

ექვსი წლის წინ თბილისის „დინამოს" ერთი ნაბიჯი აშორებდა ჩემპიონთა ლიგაში თამაშამდე. მას მერე, გნებავთ, „დინამო" და გნებავთ, რომელიმე სხვა ქართული გუნდი სამ ნაბიჯზეც ვერ უახლოვდებოდა რომელიმე ევროთასს.

ახლა შანსი ისევ გაჩნდა — 30 სექტემბერს „დინამომ" 1:0-იც რომ მოუგოს „ვისლას", უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს, ეს კი ნიშნავს, რომ მთელი შემოდგომა ევროთამაშები არ მოგვაკლდება.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამ მატჩის მნიშვნელობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა.

როგორც ყოველი მნიშვნელოვანი ტურნირის თუ მატჩის წინ, გვინდა, თქვენი მოსაზრებებიც მოვისმინოთ: რას ელით ამ მატჩიდან? ნამატჩევს კი თქვენეული შეფასებები გაგვიზიარეთ.

წერილები ამ მისამართზე მოიწერეთ: **di_na_mo_fan@hotmail.com**

# ჩვენ არ შეგვეძლო, მათ არ შეეძლოთ

## სოხუმის დინამო რესტორანში დაიშალა



*საქართველოს ჩემპიონატის რეგიონული ლიგის აღმოსავლეთ ზონაში თამაშობს სოხუმის „დინამო", ოღონდ ეს ის „დინამო" არ არის, ამ თხუთმეტი წლის წინ რომ ორად გაიყო, ერთ მხარეს აფხაზები დარჩნენ, მეორე მხარეს კი ქართველები.*

*რეგიონული ლიგის აღმოსავლეთ ზონაშივე თამაშობს სოხუმის „ცხუმი", თხუთმეტი წლის წინ სოხუმის „დინამოდან" წამოსული ქართველების შექმნილი გუნდი, მაშინ ძლიერი, საქართველოს თასის პირველი გათამაშების ფინალისტი, დროთა განმავლობაში კი დასუსტებული და მივიწყებული.*

*გუშინ 27 სექტემბერი იყო, სოხუმის დაცემის თუ გაყიდვის დღე. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ვინაც აღმოსავლეთ ზონაში ჩემპიონატის ორგანიზატორია, კალენდარი ისე შეადგინა, რომ „დინამო" და „ცხუმი" სწორედ 27 სექტემბერს შეხვედროდნენ ერთმანეთს.*

*იმ ფეხბურთელებს, დღეს სოხუმის სახელით რომ თამაშობენ, ხეირიანად არც ახსოვთ თავისი კუთხე, ოღონდ ეს მათი ბრალი არ არის. ხოლო ვისაც ახსოვს, ენთუზიაზმით არ ლაპარაკობს.*

*იმ ძველი ამბების გახსენება გიორგი ჩიხრაძეს ვთხოვე და უხალისოდ დავითანხმე. „ამერის" მთავარი მწვრთნელი თავის დროზე სოხუმის „დინამოში" თამაშობდა, თხუთმეტი წლის წინ კი ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის მოთავეთაგანი იყო.*

**გიორგი დარჯანია**

1989 წელს მეორე ლიგაში ჩვენი ზონის ჩემპიონები გავხდით, პლეიოფიც მოვიგეთ და საკავშირო პირველ ლიგაში გადავედით. ძალიან გახარებულები ვიყავით და ახალი სეზონისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდით.

თურქეთში ვიყავით შეკრებაზე ავტობუსით. უკან რომ ვბრუნდებოდით, სარფში შევიტყვეთ ეროვნული ჩემპიონატის დაარსების შესახებ.

სარფამდე ხალისიანად ვმგზავრობდით, სარფიდან სოხუმამდე კი ყველას აშკარად ეტყობოდა რაღაც შფოთვა. ვიგრძენი, რომ ძალიან მალე რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გველოდა.

სოხუმში დაბრუნების მერე ვითარება უფრო დაიძაბა, გუნდში ორი ბანაკი გაჩნდა — ერთნი საკავშირო ჩემპიონატში დარჩენის მომხრეები იყვნენ, მეორენი ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლისა. ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა და ყველაფრის საბოლოოდ გადასაწყვეტად ეშერაში შევიკრებეთ. „დინამოს" იქ ბაზა ჰქონდა.

იცით, როგორ იყო, ქართველები ვხვდებოდით, რომ საკავშირო ჩემპიონატიდან გამოსვლა წმინდა სპორტული თვალსაზრისით უკან დაგვწევდა, მაგრამ როცა ქვეყანაში ასეთი ამბები ხდებოდა, ეროვნული მოძრაობა ძალას იკრებდა, განზე გადგომა არავის შეგვეძლო. მეორე მხრივ, ჩვენი აფხაზი ფეხბურთელებისაც გვესმოდა — აფხაზეთში დაძაბულობა უკვე დაწყებული იყო და აფხაზი ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატში თამაშს რომ დათანხმებულიყვნენ, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ.

ფაქტობრივად, გამოუვალი მდგომარეობა იყო, ვერც ჩვენ დავთმობდით რამეს და ვერც აფხაზი ფეხბურთელები.

აი, ასეთი განწყობით და პოზიციებით ჩავედით ეშერაში, კლუბის საერთო კრებაზე.

ძალიან დიდხანს ვიკამათეთ, გუნდის დაშლა ყველას გვეძნელებოდა, მაგრამ დამთმობი არავინ იყო. ჩვენი მწვრთნელი დოლმატოვი და კლუბის პრეზიდენტი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიქამბა რას აღარ გვპირდებოდნენ, ოღონდ საკავშირო პირველობაზე თამაშს დავთანხმებულიყავით.

საბოლოოდ რომ დავინახე, კამათის გაგრძელება აზრს კარგავდა და მაინც ვერ შევთანხმდებოდით, ავდექი და ვთქვი: მე ქართველი ვარ და საქართველოს ჩემპიონატში უნდა ვითამაშო-მეთქი.

ისე მოხდა, რომ ჩემმა ამ სიტყვებმა კამათს წერტილი დაუსვა. მე, გიორგი დოჩია, გელა ინალიშვილი, გოჩა გოგრიჭიანი, სოსო მალანია, გოჩა ჟორჟოლიანი „დინამოდან" წამოვედით. ოღონდ იქამდე დასამშვიდობებელი ბანკეტი მოვაწყეთ. ყველანი, ქართველებიც და აფხაზებიც სოხუმში, სანაპიროზე, რესტორან „ამრაში", წავედით და მაგრად მოვილხინეთ.

ზოგ აფხაზ ფეხბურთელთან ახლაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ხაგბასთან, თარბასთან. ახრიკ ცვეიბა ჩემი ბავშვობის მეგობარია და ხშირად ვეხმიანებით ერთმანეთს. სანამ სოხუმში ვცხოვრობდი, მათ თამაშებზეც დავდიოდი.

ისე, „დინამო" რომ არ გაყოფილიყო და საქართველოს ჩემპიონატში გვეთამაშა, დარწმუნებული ვარ, თბილისის „დინამოს" ძალიან დიდ კონკურენციას გავუწევდით.

მერე „ცხუმი" შეიქმნა. ამ საქმის სულისჩამდგმელი ცნობილი გურამ გაბისკირია იყო, სოხუმის თევზკომბინატის დირექტორი. კლუბისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უმოკლეს დროში მოამზადა.

ერთადერთი პრობლემა გადაადგილება იყო. მე და დიმა პაპავას განსაკუთრებით გვიჭირდა, ოჯახები გაგრაში გვყავდა და იქიდან სოხუმში ჩასვლაზე ძალიან ვწვალობდით. ჩვენს სამხედროებს მოვყვებოდით ხოლმე ვერტმფრენით სოხუმამდე. თანდათან გუნდის თამაშებზე წასვლაც გაჭირდა. აფხაზები რომელ ტერიტორიებსაც აკონტროლებდნენ, იქ რომ არ გადაგვეფრინა, ზღვის თავზე მივფრინავდით ხოლმე ვერტმფრენით და მატჩი სადაც გვქონდა, იქვე სტადიონის სიახლოვეს დავფრინდებოდით-ხოლმე და ვერტმფრენიდან უკვე სათამაშო ფორმებით გადმოვდიოდით.

ბოლოს ასე მგზავრობაც შეუძლებელი შეიქნა და „ცხუმი" წყალტუბოში დაბანაკდა. მე იმ დროს ფეხბურთისთვის აღარ მეცალა — გაგრა ალყაში იყო და სხვაგან ვერ ვიქნებოდი. ბოლომდე გაგრაში ვიყავი და მხოლოდ ქალაქის დაკარგვის მერე წამოვედი წყალტუბოში. ჩემი მშობლები კი არ წამოვიდნენ, კიდევ ერთი წელი გაგრაში ცხოვრობდნენ.

„ცხუმი" წყალტუბოდან თბილისში გადმოვიდა. ძალიან დაბნეული ვიყავი, ლტოლვილად ვიქეცი, არ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს შვება ისევ ფეხბურთმა მაპოვნინა. ოღონდ, კარიერა უცხოეთში გავაგრძელე, ეს კი სხვა ისტორიაა.

# რეხვიაშვილი და თასი დაძმობილდნენ

ალექსანდრე რეხვიაშვილმა მეხუთედ მოიპოვა ლატვიის თასი. აქამდე ჩვენებურმა ეს ტიტული ოთხჯერ მოიგო „სკონტოს" სახელით, გუშინ კი „ვენტსპილსს" წაეხმარა თავისი ყოფილი კლუბის დამარცხებაში. „რეხვოს" გუნდმა ლატვიური თასის ფინალში 2:1 სძლია სკონტოელებს. ალეკომ მატჩი სრულად ჩაატარა, პირველი ტაიმის შუაში გაფრთხილება მიიღო, ხოლო მანამდე გოლითაც შეეძლო თავის გამოჩენა, თუმც რიგელთა მეკარე პიედელსმა 13-14 მეტრიდან დარტყმული მკვდარი ბურთი აუღო.

„ვენტსპილსი" 2:0 იგებდა და მხოლოდ 87-ე წუთზე მიიღო ერთი საპასუხო. „სკონტოში" 90 წუთი ითამაშა ზურაბ მენთეშაშვილმა, ლევან კორღალიძე ტრავმირებულია, ხოლო გიორგი ყიფიანი სათადარიგო სკამიდან არ წამომდგარა. დიდი შანსია, რეხვიაშვილმა თასს ქვეყნის ჩემპიონობაც მიაყოლოს, ხოლო წლის ალბათ უმთავრესი მატჩი ხუთშაბათს ელის „ვენტსპილსს" — შინაური 1:1-ის შემდეგ პოლონურ „ამიკასთან" სტუმრად გაიბრძოლებს უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა
8 ტური

ტორპედო 1:1 ვიტ ჯორჯია
დინამო 3:0 დილა
კოლხეთი 0:1 ბათუმი
ზესტაფონი 1:0 სიონი
ლოკომოტივი 3:1 თბილისი

# ნუ სცოდავ ღმერთს და ადამიანს!

## მკვდრის მაგინებელი მკვდარია როგორც კაცი




ლაპარაკში რომ ითქმება, ქუთაისში ფეხბურთელებს აგინებენ და ქვებს ესვრიანო, ამას ბიჭ-ბუჭობის მცირე ნაწილი სჩადის, თორემ ნაღდი ქუთაისელი ასეთს არ იკადრებსო, იტყვიან ხოლმე ქუთაისელები.

არადა, თბილისელების გინება ლამის არის ტრადიციად იქცეს ქუთაისის სტადიონზე. აგერ, ახლა ვიტჯორჯიელ ოთარ მარცვალაძეს დაუშინეს ბილწი სიტყვები, ახალგაზრდა კაცს, რომელმაც დედა რამდენიმე დღის წინ დამარხა, უტიფრად აგინეს.

ქუთაისში იმასაც იტყვიან, თუ ვინმემ ქვა ისროლა ან შეიგინა, ეს „დინამოს" ფანების გამომწვევი ქმედების ბრალი იყოო. „დინამოს" მიმართ ქუთაისური ანტაგონიზმი ალბათ ცალკე თემა, მაგრამ იქნებ არცაა ასე. მერვე ტურში ქუთაისს „ვიტ ჯორჯია" ეწვია და არა „დინამო", მაგრამ ფეხბურთელს ახალგარდაცვლილი დედა შეაგინეს.




გინებით, კი, სამწუხაროდ, სხვაგანაც იგინებიან და ეს გლეხური უსაქციელობა მთლად ასოფლელებს ჩვენს ისედაც პროვინციულ ფეხბურთს.

# საქართველოში გინებასაც კი რეფორმა სჭირდება

ტრადიციაა ასეთი. ტრიბუნიდან უნდა გაგინონ იმიტომ, რომ სტუმარი ხარ, ისე უნდა გაგინონ, რომ გადაირიო, თავზე ხელი აიღო. ქუჩაში არ შეგაგინებენ, მასპინძლობას გაგიწევენ, გაღლეგრძელებენ. ქუჩაში რომ შეგაგინონ, მოკლავ. თავზე ხელს აიღებ. სპორტსმენებში ტრადიციაა, უნდა ითმინო, მაგრამ ყოფილა, ვერ მოუთმენიათ და კარგადაც მოქცეულან. ცხონებულმა მიშა ქორქიამ ვერ მოითმინა. სწორადაც მოიქცა.

რა მოხდება, ერთხელ რომ ყველამ ერთად ვერ მოითმინოს არა ჩვეულებრივი, არამედ უჩვეულოდ ბილწი გინება, რომელიც გაგაკვირვებს კაცს თავისი სართულიანობით და მიხვეულ-მოხვეულებით?

სტადიონებზე ყველგან იგინებიან. ერიკ კანტონაც გაიხსენეთ თავისი კუნფუთი, მაგრამ იქ დედის გინება კი არ ყოფილა, გაგარტყი, ფრანგო ღოროო, დაუძახეს. არ აპატია. ჰოდა, ისევ პირველსა სიტყვას მოვიდეთ: რომ არ აპატიონ? ფეხბურთი სადღა იქნება მაშინ?

მაინც... ხედავ, ისევ იგინებიან. ან საიდან იგონებენ ასეთ გინებებს. გინებასაც კი რეფორმა სჭირდება ჩვენს ტურფა მხარეში. ასე ვინ შეგიშვებს ევროპაში?

ნუ ვიქნებით ასეთი გაბრაზებულები. ასე ნუ გვძულს ის, ვინც სინამდვილეში არ გვძულს.

ტურში ორი გამორჩეული მატჩი იყო და მთავარი ამბებიც ქუთაისში და ვაკეში მოხდა. თუმცა ეროვნულზე გამართულმა შეხვედრამ ლიდერი შეცვალა — „დინამო" „ტორპედოს" ქულებით გაუთანაბრდა, გატანილ-გაშვებული ბურთებით გადაასწრო და ჩემპიონატსაც თერთმეტგზის ჩემპიონი ლიდერობს.

ქუთაისში ფხა გვიჩვენა ჩემპიონმა — „ვიტ ჯორჯია" ათი კაცით დარჩა და ასე გაუტანა გამთანაბრებელი გოლი „ტორპედოს" — საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც რომ მოხდა ასეთი რამ, სასიამოვნო ფაქტია.

სასიამოვნო თამაში იყო ვაკეშიც, თუმცა თბილისელთაგან უკეთეს გარჯას ველოდით, ხოლო „ლოკომოტივის" ზოგიერთი ფეხბურთელის კარგ თამაშს თვით მისი მწვრთნელი არ ელოდა.

უსიამოვნო კი ისაა, რომ ფოთი ფეხბურთის ქართული სამშობლოა და ისეთი ჯაბანი გუნდი ჰყავს, აქამდე რომ არ ჰყოლია.




# ექსდინამო კვლავაც მაგარია

მიხეილ ბობოხიძე და ალეკო გოგობერიშვილი: „თბილისთან" დუბლის მიმთვლელი და საუკეთესო

ფეხბურთელთა მიდი-მოდი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მოძრაობა ხან ცრუა, ხან უცნაური და ხან სწორი.

წინა ტურის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი თბილისელი სანდრო იაშვილი გახლდათ, ამ ტურში კი ლოკომოტიველებმა იყოჩაღეს — ალეკო გოგობერიშვილმა და მიხეილ ბობოხიძემ თანაგუნდელებთან ერთად „თბილისთან" თამაში შემოატრიალეს — სვანაძემ ორივე ეს ფეხბურთელი შეაქო, რაც მისგან და საერთოდ მწვრთნელებისგან ძალიან იშვიათია ხოლმე.

იაშვილი, გოგობერიშვილი და ბობოხიძე — სამივენი ექსდინამოელები არიან, რომლებიც „დინამოში" გია გეგუჩაძის გამთავრმწვთნელების შემდეგ დაითხოვეს გუნდიდან და რომლებიც ბოლო დროს ძალიან კარგად თამაშობენ.

ცრუ, უცნაური და სწორი — რა მოძრაობა გაკეთა „დინამომ", მალე უფრო კარგად უნდა გამოჩნდეს.

# დინამო ალადაშვილზე: ეს ჩვენი საქმეა



„დინამო"–„დილა" რომ იწყებოდა, სტადიონზე ხმა დაირხა, ამ დილით „დინამო" კახა ალადაშვილმა დატოვა და კარიერის გაგრძელებას სხვა კლუბში ეშურებაო. ითქვა, კლუბმა ფეხბურთელს ახალი სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, თუმცა ალადაშვილი პირობებმა არ დააკმაყოფილა და გუდა-ნაბადი ამიტომ აიკრაო.

ხმას ფაქტიც დაემატა – კახა ალადაშვილი „დილასთან" მატჩის განაცხადში საერთოდ არ იყო.

– ალადაშვილი „დინამოს" ფეხბურთელია და გუნდთან ერთად არის. თუ რამ მოხდა, ეს ხმაურის საბაბს არ იძლევა, ოჯახში ყოველთვისაა მცირე გაუგებრობები, რაც არაა აუცილებელი, საზოგადოებამ იცოდეს – გვითხრა ნამატჩევს „დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა.

კახა ალადაშვილი დღესდღეობით მართლაც გუნდთან ერთადაა და „ვისლასთან" ხუთშაბათის მატჩისთვის ემზადება.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 6-მეგრელაძე | ტორპედო |
| 5-ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| ჭელიძე | ბათუმი |
| კაკალაძე | დინამო |
| 4-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ოდიკაძე | თბილისი |
| გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |

### მომდევნო ტური

2 ოქტომბერი, შაბათი

სიონი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
დილა – ლოკომოტივი
ბათუმი – დინამო
თბილისი – ტორპედო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 6 | 2 | 0 | 23:4 | 20 |
| ტორპედო | 8 | 6 | 2 | 0 | 14:2 | 20 |
| თბილისი | 8 | 5 | 1 | 2 | 18:11 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:4 | 15 |
| ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 13:13 | 11 |
| ზესტაფონი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:20 | 6 |
| სიონი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:23 | 6 |
| დილა | 8 | 1 | 0 | 7 | 6:17 | 3 |
| კოლხეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:16 | 3 |

### სიმბოლური ნაკრები

მიხეილ კაკალაძე – დინამო
გიორგი ჭელიძე – ბათუმი
მიხეილ ბობოხიძე – ლოკომოტივი
შოთა ბაბუნაშვილი – ტორპედო
გიორგი ნემსაძე – დინამო
ალეკო გოგობერიშვილი – ლოკომოტივი
შოთა გრიგალაშვილი – დინამო
მიხეილ მახვილაძე – ლოკომოტივი
დავით გამეზარდაშვილი – ტორპედო
რონ ონიანი – ლოკომოტივი
მირზა მერლანი – ვიტ ჯორჯია

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მალხაზ ასათიანი: რეალურად საუკეთესო სიმბოლურ ნაკრებში

*3 გოლი და ამდენივე საგოლე პასი* — ასეთია კვიპროსელი ქართველების მონაგარი. იქაური ჩემპიონატისადმი ჩვენი ყურადღება წლეულს ორმაგად გაიზარდა, იქ ხომ *გიორგი ქინქლაძეც* კი გადავიდა, თუმც ერთ დროს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს ახალი კლუბის მაისურა ჯერ არ მოურგია — გიო განაცხადში შეყვანას ელის. მის გარეშე მოთამაშე „ანართოსისმა" კი კვიპროსული გრანდი და გასული სეზონის ჩემპიონი „ომონია" სტუმრად დაამარცხა. ფამაგუსტელთა მოგებაში ხმამაღალი სიტყვა *თემურ ქეცბაიამ* და *კლიმენტი წიტაიშვილმა* თქვეს. ორივემ თითო გოლი გაიტანა და სამ გოლშიც დაიდეს წილი. ერთი სიტყვით, „ანართოსისმა" მეტოქე 4:2 დაამარცხა და ორ ტურში ორი მოგებით ლიდერობს ჩემპიონატს.

სეზონის პირველი გოლი გაიტანა პარალიმნელმა *ლევან ქებაძემაც*. წინა ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა „პაფოსთან" შეძლო თავის გამოჩენა. ლევანის დარად, ძირითადში იყო *გიორგი ანჩაბაძეც*.

*ბულგარეთში ამირან მუჯირი ამუშავდა.* ეს სეზონი ჩვენებურისთვის ალბათ საუკეთესოა — უეფას თასზე ხომ ყოჩაღობს და ჩემპიონატშიც აწიოკებს მეტოქეებს. მუჯირის ცეესკამ 5:1 მიანგრია „ლოკომოტივი", ერთი გოლი კი ამირანმა გაიტანა. ამგვარად, 6 მატჩში გატანილი 3 გოლით მუჯირი ბულგარეთის ჩემპიონატის ბომბარდირებშიც გაერია.

*სანჩვენო ამბები უკრაინაშიც დატრიალდა.* საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა *ირაკლი მოდებაძემ* პირველი გოლი გაიტანა ზაპოროჟიეში დაბრუნების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ მოდებაძე ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ხელმძღვანელობასთან უბრად იყო და სეზონის წინ „თბილისში" გადაბარგებას აპირებდა, თუმც ეს ტრანსფერი უკრაინელებმა არ ისურვეს.

ერთი სიტყვით, მოდებაძე „მეტალურგს" დაუბრუნდა, გუშინწინ პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ირაკლიმ 67-ე წუთზე გაუტანა „ზაკარპატიეს" და მისმა გუნდმაც 1:0 მოიგო, რაც პირველი საამსეზონო სამი ქულაა. გოლამდე მოდებაძემ ძელსაც გაარტყა ბურთი, ორჯერ კი მეკარეს ვერ აჯობა. ზაპოროჟიელთა მეორე ქართველი *ლაშა ჭელიძე* კი ჯერაც მკურნალობს. ის ერთი თვის წინ „მეტალურგში" სადებიუტო მატჩისას მძიმედ დაშავდა, ტვინის შერყევა მიიღო და დღემდე უქმადაა.

*რუსეთში მალხაზ ასათიანი გამოირჩა.* „ლოკომოტივმა" მძიმე ბრძოლაში 1:0 მოუგო ჩემპიონობის მაძიებელ ცეესკას და თავადაც გაერია „ოქროს სამეულში". ასათიანმა რკინიგზელთა დაცვის ცენტრში ითამაშა და საკმაოდ საიმედოდაც — ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. „ლოკომოტივი" კი ახლა მესამეზეა „ზენიტისა" და ცეესკას შემდეგ.

დაახლოებით თვენახევრის წინ *რატი ალექსიძემ* „როსტოვში" რომ ითამაშა, მას შემდეგ თვალით აღარ გვინახავს. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი აქა-იქ სარეზერვო გუნდში თუ გამოჩნდებოდა, ეგ იყო და ეგ.

გუშინწინ კი ალექსიძე ძირითად გუნდს დაუბრუნდა. „როსტოვი" მაჩანჩალა „როტორს" ვოლგოგრადში ესტუმრა და 2:3 დამარცხდა. საინტერესოა, რომ „როტორს", ფაქტობრივად, „განაღდებული" აქვს პირველი დივიზიონის საგზური, მაგრამ ბოლო ორ ტურში სენსაციების იშტაზე მოვიდა და „როსტოვამდე" ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი" დააჩოქა.

მოკლედ, რატი მე-80 წუთზე არმენ აკოფიანცის ნაცვლად შევიდა მოედანზე და სტუმართა ბოლო შტურმშიც აქტიურად მონაწილეობდა, თუმც „როსტოვმა" გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო.

*პირველი მატჩი წააგო ედი ახტერბერგის გაწვრთნილმა „შალკემ".* გელზენკირხენელებმა „ჰანოვერთან" მატჩში დაყარეს ფარ-ხმალი, თუმც *ლევან კობიაშვილმა* საკმაოდ კარგად ითამაშა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

*დებიუტი ჰქონდა არისელ ირაკლი ვაშაკიძეს.* სალონიკელები „ოლიმპიაკოსთან" 0:1 დამარცხნენ, ჩვენებურმა კი 90 წუთი ითამაშა რივალდოს და მისი თანაგუნდელების წინააღმდეგ.

*თავის ყოფილ გუნდს ესტუმრა ზურაბ ხიზანიშვილი.* „რეინჯერსმა" მოგებათა სერია სამამდე გაზარდა და მეორე ადგილზე ასკუპდა. ხიზანიშვილის დარად, „დანდისთან" *შოთა არველაძეც* ძირითადში იყო, თუმც 66-ე წუთზე შეცვალეს და გოლებიც ამის შემდეგღა გავიდა — არველაძის შემცვლელმა ნაჩო ნოვომ დუბლი გააკეთა.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლაციო 2:1 | 68 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 2 | 0 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰანოვერი 0:1 | 90 | | 5 | 0 | 14 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 1:3 | 76 | შეცვალეს | 6 | 0 | 8 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 1:3 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ალემანია 1:1 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 7 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | უნტერჰახინგი 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 2 | 0 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი 2:0 | 66 | შეცვალეს | 7 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | დანდი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | აუსტრია 0:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 10 | 2 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ცსკა 1:0 | 90 | | 16 | 1 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | ცსკა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 3 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | ს | როტორი 2:3 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 11 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | ს | როტორი 2:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | მოსკოვი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 12 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | მოსკოვი 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 1 | 12 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | ს | მოსკოვი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 12 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | რუბინი 2:2 | 90 | | 9 | 0 | 13 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | კრილია 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | სპარტაკი 2:1 | 87 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 15 | 0 | 9 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | სპარტაკი 2:1 | 89 | შეცვალეს | 26 | 0 | 9 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | შ | ბალტიკა 1:0 | 63 | შეცვალეს | 24 | 0 | 10 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | შ | მორდოვია 1:0 | 57 | შეცვალეს | 24 | 1 | 2 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | ს | ტომი 1:1 | 90 | 1 გოლი | 25 | 5 | 18 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | მ. კუზბასი 1:5 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 4 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | ს | არსენალი 0:1 | 71 | შეცვალეს | 9 | 2 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | არსენალი 0:1 | 0 | | 9 | 1 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | ს | არსენალი 0:1 | 90 | | 11 | 0 | 20 |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | ლოკომოტივი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | ს | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 5 | 0 | 7 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | კამაზი 5:1 | 64 | შეცვალეს | 12 | 1 | 17 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | დინამო 0:1 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | დინამო 0:1 | 90 | | 8 | 3 | 3 |
| გიორგი გახოკიძე | მ. დონეცკი | ს | დინამო 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 3 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | მ. დონეცკი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | მეტალისტი 1:0 | 0 | | 6 | 1 | 15 |
| გია ჭანტურია | ტავრია | შ | მეტალისტი 1:0 | 0 | | 2 | 0 | 15 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | შ | მეტალისტი 1:0 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 15 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | შ | მეტალისტი 1:0 | 0 | | 4 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | მეტალისტი 1:0 | 45 | 1 გოლი, შეცვალეს | 7 | 3 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ზაკარპატიე 1:0 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | 12 |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ზაკარპატიე 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 12 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ტავრია 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 1 | 6 |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | ოლიმპიაკოსი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | პანათინაიკოსი 1:3 | 62 | შეცვალეს | 2 | 0 | 8 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | კაისერი 0:1 | 90 | | 5 | 0 | 7 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | შ | ლეჩნა 3:0 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| **ლატვია. თასის ფინალი** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვენტსპილსი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვენტსპილსი 1:2 | 90 | | | | |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | შ | ვენტსპილსი 1:2 | 0 | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ს | სკონტო 2:1 | 90 | | | | |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | შ | ჰაკა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ლოკომოტივი 5:1 | 90 | 1 გოლი | 6 | 3 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | როდოპა 3:2 | 0 | | 1 | 0 | 7 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | როდოპა 3:2 | 75 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 4 | 0 | 7 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | შ | ლიტექსი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | შ | ლიტექსი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ომონია 4:2 | 63 | 1 გოლი, საგ. პასი, შეცვალეს | 1 | 1 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | ომონია 4:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 2 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ომონია 4:2 | 90 | 1 გოლი, 2 საგოლე პასი | 2 | 1 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ომონია 4:2 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | ომონია 4:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | პაფოსი 2:2 | 90 | 1 გოლი | 2 | 1 | 3 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | შ | პაფოსი 2:2 | 90 | | 2 | 0 | 3 |
| ზვიად ლაბაძე | არისი | შ | აშნა 2:3 | 0 | | 1 | 0 | 14 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | ს | ჟეტისუ 1:3 | 73 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 21 | 0 | 14 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ატირაუ 4:0 | 90 | | 16 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ შეცდებით!

## 68 და 70 ახლოა, მაგრამ...

**იტალია**

**სერია A. IV ტური**

**ლაციო 1:2 მილანი**

1:0 კოუტუ (37), 1:1, 1:2 შევჩენკო (70, 74)
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, ფ. კოუტუ, ო. ლოპესი (დი კანიო 76), ა. ფილიპინი (ლივერანი 77), ე. ფილიპინი, ჯანიკედა, ძაური, ს. ინძაგი, პანდევი (დე სოუზა 84)
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე (პანკარო 68), გატუზო (პირლო 46), ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო (ტომასონი 68)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოუტუ, კალაძე, კრესპო, ჯანიკედა, ა. ფილიპინი, კაფუ, პირლო, ინძაგი, შევჩენკო
გაძევება: ამბროზინი (53)
მსაჯი: პაპარესტა
40 000 მაყურებელი

**ერთი** შეკითხვა გვაქვს, თუ შეიძლება... იმისთვის, რომ „ლაციოს" ფეხბურთელს, მასიმო ოდოს თავის საჯარიმოში თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ბურთი აჭროდა და ანდრეი შევჩენკოს გოლად ქცეულიყო, იმისთვის, რომ ამ ამბიდან ოთხ წუთში იმავ შევჩენკოს, დიდი ოსტატობის წყალობით მეორე გოლიც გაეტანა და, საერთოდ იმისთვის, რომ უკრაინელი ფორვარდის ძალასა და ნებისყოფაში, გამარჯვებისკენ ლტოლვასა და ვარსკვლავობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით, კახა კალაძის მოედნიდან გაყვანა აუცილებელი იყო? კაცმა რომ თქვას, ვინ არის ამ შეკითხვის ადრესატი არც ვიცით, ალბათ, „მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, მაგრამ ვინაიდან მასთან გასაუბრების საშუალება არ გვაქვს, ჯანდაბას, იყოს ჩვენი შეკითხვა რიტორიკული. ხომ ფაქტია, კალაძე ჯუზეპე პანკაროთი იმიტომ შეცვალეს, რომ იფიქრეს, პანკარო შეტევაში უკეთ ერთვება და ვინაიდან 0:1-ს ვაგებთ, მისი თამაში უფრო მეტ სარგებელს მოგვიტანსო. კეთილი, მაშინ ახლა ასე ვთქვათ: შევჩენკოს გოლებთან პანკარო რაიმე კავშირში იყო? საერთოდ, მოახერხა ვეტერანმა ცენტრს იქით სახიფათოდ გადასვლა? ერთადერთი, რაც მატჩის ბოლო მონაკვეთში „მილანის" მარცხენა ფრთაზე ხდებოდა ის გახლდათ, რომ ზემოხსენებული რომაელი ოდო, ერთიმეორის მიყოლებით ცდილობდა შეტევის წამოწყებას და ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებას. ასე, რომ თუკი პანკარო რამეთი იყო დაკავებული, ეს ოდოს დევნა გახლდათ.

კალაძესთან დაკავშირებით კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ პირველ ტაიმშიც და შესვენების შემდეგაც, ის მართლაც ხშირად ერთვებოდა შეტევაში, მაგრამ პარტნიორები მეტწილად ვერ ხედავდნენ და საკმაოდ კარგ პოზიციაში მყოფსაც კი არ აწვდიდნენ პასს.

საბოლოოდ ასე ვიტყოდით: „მილანმა" „ლაციოს" 0:1 მოუტრიალა, თან უმცირესობაში მყოფმა, რაშიც ბუნებრივია, კოლექტიური წვლილის გარდა პირადად შევჩენკოს წვლილი იყო განსაკუთრებული, მაგრამ ეს არაფერ კავშირში არ გახლდათ კალაძის პანკაროთი (და ერნან კრესპოს იონ დალ ტომასონით) შეცვლასთან. ასე, რომ კალაძის შეცვლის წუთის (68) და შევჩენკოს პირველი გოლის (70) სიახლოვემ მცდარი დასკვნისკენ არ უნდა გვიბიძგოს.




ანდრეი შევჩენკომ „ლაციოს" პირველი გოლი ეფექტური დარტყმით გაუტანა

REUTERS

რაც შეეხება იმას, თუ რატომ იყო მეორე ტაიმის მე-8 წუთიდან, „მილანი" უმცირესობაში, მოგახსენებთ: მასიმო ამბროზინიმ ემანუელე ფილიპინისთან იდაყვით გადაწყვიტა ურთიერთობის დარეგულირება, ეს მეთოდი კი, მოგეხსენებათ, დაწუნებულ მეთოდთა სიაშია შეტანილი.

კარლო ანჩელოტი: „რომაელებმა ძალიან მაღალი ტემპი შემოგვთავაზეს, რასაც პირველ ტაიმში ალალად კარგად დავუპირისპირდით. მეორეში კი, როდესაც „ლაციომ" ამ გიჟურ რიტმს დააკლო, ჩვენ მანევრირების მეტი საშუალებაც გამოვნახეთ. ვფიქრობ, ერნან კრესპომ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ რაღაც მომენტში ტომასონის დასვენებულმა ფეხებმაც ძალიან კარგი როლი ითამაშეს".

ანდრეი შევჩენკო: „არასდროს შეგვრყევია რწმენა იმისა, რომ გამარჯვება შეგვეძლო. დღეს მთელმა გუნდმა იყოჩაღა და ძნელი პირველი ტაიმის მიუხედავად, დავამტკიცეთ, რომ „მილანი" „მილანია". სხვათა შორის, ძალიან მომწონს ამ სეზონის ის თავისებურება, რომ ნებისმიერს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. ვფიქრობ, ასე გაცილებით საინტერესოა".

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ლეჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 8 |
| მესინა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:7 | 6 |
| კიევო | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| რეჯინა | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| პალერმო | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| კალიარი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ბოლონია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:2 | 5 |
| რომა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| სიენა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ფიორენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| სამპდორია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ბრეშა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| ლივორნო | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| ატალანტა | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| პარმა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |

# გული რომში რჩება

## ტიფოზებმა ბიჭები გაამტყუნეს

*დავუბრუნდეთ რუდი ფიოლერის თემას: გერმანელმა მწვრთნელმა „რომას" შეფის თანამდებობაზე 26 დღე დაჰყო და ბოლოს ემოციური პრეს-კონფერენციით დააგვირგვინა*



რუდი ფიოლერმა ფრანკო სენსის მადლობა გადაუხადა

**„მადლობას** ვუხდი პრეზიდენტ ფრანკო სენსის ჩემს გადადგომას გაგებით რომ შეხვდა — ბრძანა ფიოლერმა — ვცადე, რომში ჩემებურად მემუშავა, მაგრამ შაბათს ბოლონიაში მივხვდი, რომ ეს „რომასთვის" სწორი და მისაღები მეთოდი არ იყო. თუ იქნება რაღაც, რასაც მე ვერ გავაკონტროლებ, მაშინ ასეთ სამსახურში არაფერი მესაქმება. ამასთან დავძენ, რომ კლუბი ასი პროცენტით მიჭერს მხარს, ხოლო კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ პირადად მთხოვა დარჩენა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ჩემთვის ახლა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება წასვლაა, რადგან გუნდს ვერ გამოვადგები. დღეს დახმარების და გამოდგომის საუკეთესო გზა მათ მხრებზე მეტი პასუხისმგებლობის შემოდებაა. გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ, ალბათ, მეც დავუშვი შეცდომები ბოლო თამაშებში."

ხმები იმის შესახებ, რომ ფიოლერი „რომაულ" უდისციპლინობას ველარ უძლებდა და წასვლაზე ფიქრობდა, ბოლონიაში წაგებამდეც დაირხა იტალიურ პრესაში, „სტადიო დალ არაზე" კი საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ფეხბურთელები მწვრთნელის ტაქტიკურ დავალებებს არად დაგიდევენ, რამაც გერმანელი გააცეცხლა.

„ვუყურებდი და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ამხანაგურს ვთამაშობდი. არანაირი მონდომება არ ჩანდა. იმაში, რაც ხდებოდა, მოედანზე მყოფთაგან უკლებლივ ყველა იყო დამნაშავე, ხოლო მე, როგორც ამ ყველაფრის თავში მდგომი ადამიანი, აშკარად უნდა წავსულიყავი".

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელობისას რუდი ფიოლერი „რომას" ქომაგთა კერპი იყო.

„რაც მოხდა, მოხდა. ამის გამო ქალაქის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ვერ შეიცვლება. მე შემრცხვა რომაელი ქომაგებისა, რომლებიც ბოლონიაში წამოგვყვნენ, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ჩემი გული რომში რჩება" — დააგვირგვინა ფიოლერმა.

აღსანიშნავია, რომ რომაელმა ტიფოზებმა აშკარად მწვრთნელის მხარე დაიჭირეს. ისინი გუნდის საწვრთნელ ცენტრთან, ტრიგორიასთან შეიკრიბნენ და ფეხბურთელებს ელოდნენ, რათა გაელანძღათ. ყველაზე ცუდი სიტყვების მოსმენა მეკარე ივან პელიცოლის მოუხდა, ფილიპ მექსეში არ შეშინდა, ხალხში გავიდა და ილაპარაკა, ხოლო ფრანჩესკო ტოტი და ანტონიო კასანო სწრაფად გაერიდნენ იქაურობას.

„ფიოლერი ჩვენ არ გაგვიგდია. ჩვენ მისი წასვლა არ გვინდოდა" — ამტკიცებდა კრისტიან პანუჩი. და ვინ იქნება ახალი მწვრთნელი? ამბობენ, რომ ამ ფიოლერის თანამდებობას ლუიჯი დელ ნერი ჩაიბარებსო და, ასეც მოხდა. „კიევოს" ყოფილ თავკაცს გუშინ



ივან პელიცოლის „რომას" ტიფოზებმა დედა აგინეს

შეეხმიანენ „რომას" შეფები და დაიყაბულეს კიდეც. აი, რა განაცხადა დელ ნერიმ:

„რომაში მუშაობა დიდი სიამოვნება იქნება. გუნდს ბრწყინვალე ქომაგები და ჩინებული ფეხბურთელები, სხვადასხვა ნაკრების წევრები ჰყავს".

დღეს კი, ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან" სათამაშოდ, „რომას" ეციო სელა დამოძღვრავს.

**პაპუნა ძიძია**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი II ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### მონაკო — დეპორტივო

სავარაუდო შემადგენლობები

| მონაკო | დეპორტივო |
|---|---|
| რომა, ჟ. როდრიგესი, სკილაჩი, გივე, მაიკონი, ზიკოსი, დ. პერესი, ევრა, კალონი, სავიოლა, ადებაიორი | მოლინა, მანუელ პაბლო, სესარი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ვიქტორი, დუშერი, სერხიო ვალერონი, ფრანი (ან ლუკე), პანდიანი |

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

### ოლიმპიაკოსი — ლივერპული

სავარაუდო შემადგენლობები

| ოლიმპიაკოსი | ლივერპული |
|---|---|
| ნიკოპოლიდისი, პანტოსი, ანატოლაკისი, შურერი, ვენეტიდისი, რივალდო, კაფესი, სტოლტიდისი, გეორგატოსი, ჯოვანი, ოკასი | დუდეკი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ჰამანი, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, ჯ. სისე, ბაროში |

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

## B ჯგუფი

### რეალი — რომა

სავარაუდო შემადგენლობები

| რეალი | რომა |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, სამუელი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი (ან გუტი), სელადესი, ზიდანი, რაული, რონალდო | პელიცოლი, პანუჩი, ფერარი, დელასი, კანდელა, მანსინი, პეროტა, დაკური, დე როსი, ტოტი, კასანო |

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### დინამო — ლევერკუზენი

სავარაუდო შემადგენლობები

| დინამო | ლევერკუზენი |
|---|---|
| შოვკოვსკი, საბლიჩი, გავრანჩიჩი, გიოანე, ლეკო, გუსინი, რინკონი, ო. გუსევი, ელ კადური, ნესმაჩნი, შაცკიხი, ვერპაკოვსკისი | ბუტი, შნაიდერი, ნოვოტნი, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი, პონტე, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა |

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

# 8:3, რა თქმა უნდა, გვახსოვს

ისევ „მონაკო" და ისევ „დეპორტივო" და, ცხადია, შარშანდელი ჩემპიონთა ლიგაც გაგახსენდებათ — დიდიე დეშანის გაწვრთნილებმა „ლუი II"-ზე გალისიელები 8:3 რომ დაანგრიეს. მაშინ „დეპორს" ბოლო ორმა ფეხბურთელმა მოუღო, ხორვატმა დადო პრსომ და ესპანელმა ფერნანდო მორიენტესმა. პრსომ სულაც პოკერი გააზერხა.

სადღეისოდ თუ სტუმართა საბედნიეროდ, „მონაკოს" რიგებში ახლა არც ერთია და არც მეორე და, საერთოდ, ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი ახლა სულ სხვა გუნდია.

სხვა გუნდია დღეს „დეპორტივოც". უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შარშანდლისგან განსხვავებით ანტიფეხბურთს თამაშობს, რის დამადასტურებლადაც წლევანდელი ესპანური პრიმერას ხუთ ტურში მოპოვებული 4 ქულაა.

მაგრამ ხავიერ ირურეტა იმედს მაინც არ კარგავს, შეგირდების ბოლომდე სწამს და ამბობს, „მონაკოსთან" მატჩი ყველაფერს თავდაყირა დააყენებსო. ირურეტას ცხადია, შარშანდელი კოშმარი არ დავიწყებია: „ვაღიარებ, მაშინდელი მარცხი ჩემი გუნდისთვის საშინელი დარტყმა იყო, თუმცა ახლა „დეპორი" სულ სხვა განწყობაზეა და ძველი შეცდომების გამოსწორებას, ანუ რევანშს ვაპირებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა" — უთხრა მწვრთნელმა ესპანურ „მარკას".

სტუმრებს მხოლოდ დიეგო ტრისტანი და სალვა ბალესტა არ ეყოლებათ, ისინი ტრავმირებულნი არიან.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, დიდიე დეშანსაც რა თქმა უნდა ახსოვს ყველაფერი, რაც შარშან მოხდა და მოკლედ აცხადებს: „არ მესმის, ხელმეორედ რატომ ვერ უნდა მოვუგოთ „დეპორტივოს".

ფრანგებს შესაძლოა, მოჰამედ კალონი დააკლდეთ, სიერა ლეონელ ფორვარდს მცირე ტრავმა აწუხებს და გამოჩნდება თუ არა ძირითადში, დეშანი საბოლოოდ დღეს მოიფიქრებს. თუმცა, სააგენტო „როიტერის" ვერსიით, კალონმა უნდა ითამაშოს.

ჯგუფის მეორე ჯახი კი საბერძნეთშია — იქაურ „ოლიმპიაკოსს" რაფაელ ბენიტესის „ლივერპული" სტუმრობს.

ინგლისურ გუნდებთან „ოლიმპიაკოსს" თავის მოსაწონი არაფერი აქვთ — სხვადასხვა ალბიონურ კლუბებთან ჩატარებულ 10 შეხვედრაში ოდენ ერთი მოიგეს და ისიც, შორეულ 1972 წელს. პირეოსელებმა მაშინ „ტოტენჰემი" დაამარცხეს 1:0, მატჩი კი უეფას თასისა იყო.

რაც შეეხება „ლივერპულს", ბერძნულ გუნდებთან ჩატარებულ 6 შეხვედრაში „წითლებს" 5 მოგება აქვთ და ერთხელაც მათ ფრეზე გაეყარნენ.

რაფაელ ბენიტესს ტრავმირებულები, სტივენ ჯერარდი, ანტონიო ნუნიესი და ვლადიმირ შმიცერი არ ეყოლება და მასპინძელთაგან უპირველესად ორ ბრაზილიელს — რივალდოსა და ჯოვანის უფრთხის: „ისინი ყველაზე მეტად საშიშნი არიან. იმედია, მათ განეიტრალებას მოვახერხებთ" — დასძინა მწვრთნელმა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მონაკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |



შარშანდელი „მონაკო" — „დეპორტივო" 8:3. ესპანელებს რვიდან ოთხი დადო პრსომ (№9) გაუტანა



2003 წელს „რომამ" „რეალს" მადრიდში 1:0 მოუგო

# უცნაური და კანონზომიერი

ცოტა უცნაურად კი გამოდის, მაგრამ ფაქტია — ჯგუფს, რომელშიც „რეალი" და „რომა" თამაშობენ, „დინამო" და „ლევერკუზენი" ლიდერობენ. ხოლო იმ გუნდებს, რომელთა ლიდერობა ალბათ უფრო ლოგიკური იქნებოდა, ღრმა კრიზისის კვალი ატყვიათ. ერთი სიტყვით, დღეს ლიდერები ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას, აუტსაიდერები კი ერთმანეთში.

„ლევერკუზენი" კიევში აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1999-2000 წლების სეზონში ჩასულა ჩემპიონთა ლიგის მატჩის გასამართად. ის შეხვედრაც ჯგუფური ეტაპისა იყო, უკრაინელებმა 4:2 მოიგეს და საერთოდაც, გერმანელებს კიევში უჭირთ — იქ მოგება ბოლოს მიუნხენის „ბაიერნმა" შეძლო, რაც 10 წლის წინ მოხდა.

დღევანდელი მატჩის წინ კი არც კიეველებს და არც ლევერკუზენელებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ, თუმცა ორივე გუნდს ტრავმიანობა მისძალებია. კოჭი სტკივათ რუსლან ბიდნენკოს და იური დმიტრულინს, ვალენტინ ბელკევიჩს ზურგი აწუხებს, სერგეი ფიოდოროვს კი კუნთი. ოღონდ ამ უკანასკნელის თამაში გადაჭრით გამორიცხული არ არის. სტუმართაგან დაშავებულები არიან როკე ჟუნიორი, დანიელ ბიროფკა და ჰანო ბალიტჩი.

„რეალს" და „რომას" კი ერთმანეთში ძალიან საინტერესო ურთიერთობა აქვთ. ისინი ჩემპიონთა ლიგაში აქამდე ოთხჯერ შეხვდნენ. რომში „რეალმა" ორივეჯერ მოიგო, აი, მადრიდში კი მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. ბოლო ოთხ სეზონში „რეალი" სულ ერთხელ დამარცხდა „სანტიაგო ბერნაბეუზე" და მისი დამჯაბნი „რომა" გახლდათ.

რომაელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ფილიპ მექსეში. ამ დისკვალიფიკაციის ამბები კარგად გეხსომებათ, რაკი პირდაპირ კავშირშია ანდერს ფრისკის გახეთქილ შუბლთან. მექსეშის გარდა „რომას" კრისტიან კივუ, მარკო დელვეკიო და დამიანო ტომაზი არ ეყოლება, ოღონდ ესენი ტრავმების გამო.

„რეალში" კი სამი ფეხბურთელის უთამაშებლობაა გადაწყვეტილი საქმე — სანტიაგო სოლარის, ჯონათან ვუდგეიტის და მეკარე სესარის. ეგებ, ვერც დევიდ ბექემმა და ზინედინ ზიდანმა შეძლონ თამაში — ინგლისელს მუცლის გვრემა აქვს, ფრანგს მხარი სტკივა, მაგრამ ამათი მომჯობინების იმედი მწვრთნელ მარიანო გარსია რემონს მაინც აქვს. ჰო, მწვრთნელის გახსენებაზე: რუდი ფიოლერის გაშვების მერე „რომაში" მის მოვალეობას ეციო სელა ასრულებს, ვისთვისაც ეს სადებიუტო შეხვედრა იქნება, მარიანო რემონის დებიუტი კი მოგეხსენებათ, პრიმერადივიზიონში ორი ტურის წინ შედგა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| რომა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი II ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ბაიერნი — აიაქსი

სავარაუდო შემადგენლობები

| ბაიერნი | აიაქსი |
|---|---|
| კანი, გიორლიცი, ლუსიო, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ფრინგსი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო | ლობონტი, ნ. დე იონგი, გრიგერა, ჰეიტინგა, მაქსველი, პიენაარი, სნეიდერი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, როსალესი, სონკი |

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

### იუვენტუსი — მაკაბი

სავარაუდო შემადგენლობები

| იუვენტუსი | მაკაბი |
|---|---|
| ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე | შტრაუბერი, პანცილი, ჯოვანინი, სტროოლი, აბო-სიამი, რეისი, მიშაელოფი, ტ. კოენი, ბიტონი, მესიკა, მბამბა |

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

## D ჯგუფი

### მანჩესტერი — ფენერბაჰჩე

სავარაუდო შემადგენლობები

| მანჩესტერი | ფენერბაჰჩე |
|---|---|
| კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, კინი, ოში, გიგზი, ვან ნისტელროი, სმიტი (ან რუნი) | რუშტუ, ფაბიო ლუსიანო, ფათიჰი, დენიზი, უმით ოზატი, ალექსი, მარკო აურელიო, სერქანი, მეჰმეთი, თუნჯაი, ვან ჰოიდონკი |

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

### სპარტა — ლიონი

სავარაუდო შემადგენლობები

| სპარტა | ლიონი |
|---|---|
| ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, მ. ჩეხი, პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ურბანეკი, იუნი, პაჩანდა | კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, მ. დიარა, მალუდა, ვილტორდი, გოვუ, ფრო |

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

# ვინ ხარ ვინა?

## კარგად გიცნობ რა შვილიცა ბრძანდები

მოდით ვნახოთ C ჯგუფი და გავერკვეთ დღეს რა ამბავს უნდა ველოდოთ იქ, „იუვენტუსის“ „აიაქსის“, „ბაიერნისა“ და თელ ავივის „მაკაბის“ თავშეყრის ადგილას.

„იუვენტუსი“ „დელე ალპიზე“ „მაკაბის“ მასპინძლობს. რა შეიძლება ამასთან დაკავშირებით ითქვას? გარდა იმისა, რომ მეტოქეთა შორის ძალთა თანაფარდობაზე თეორიული, ზოგადი წარმოდგენა თუ გვექნება არაფერი, რადგან ეს გუნდები ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. გასაგებია, რომ იტალიურ ფეხბურთს და კერძოდ ტურინის გუნდს ისრაელის ფეხბურთი და კერძოდ „მაკაბი“ ტიტულებით გვერდით ვერ დაუდგება, მაგრამ ამით მსჯელობა ძალიან შორსაც ალბათ ვერ წაგვიყვანს, რადგან კაცმა არ იცის, აღმოჩნდება თუ არა თელ ავივის გუნდი „ბებერი ქალბატონისთვის“ უხერხული მეტოქე და სხვა ამნაირები. მეტიც, ბუნდოვანი შთაბეჭდილების შესაქმნელადაც კი არ გვაქვს მასალა, ანუ „იუვენტუსი“ არასდროს გადაჰყრია ებრაულ გუნდს და „მაკაბი“ იტალიისას. რაც შეეხება იტალიურ-ისრაელურ საკლუბო დაპირისპირებას, („იუვეს“ და „მაკაბის“ გარეშე), აქ მცირე უპირატესობას იტალიელები ფლობენ: 3-1-2. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიურებმა 6 შეხვედრიდან სამი მოიგეს, ორი წააგეს, ხოლო ერთი მატჩი ფრედ დასრულდა.



სებასტიან დაისლერი „ბაიერნის“ სავარაუდო შემადგენლობაში არ წერია

დისკვალიფიცირებული დღევანდელი შეხვედრის წინ არც „იუვენტუსს“ ჰყავს ვინმე და არც „მაკაბის“. ტურინელთა შორის საეჭვოა კუნთნატკენი ალესანდრო დელ პიეროს თამაში, ხოლო თელ ავივურ გუნდში საეჭვო არავინ არის.

ჯგუფის მეორე წყვილი კი მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ თამაშობს. ეს გახლავთ „ბაიერნისა“ და „აიაქსის“ წყვილი, რომელსაც ექვსჯერ გაურკვევია ერთმანეთში ურთიერთობა. ამ ექვსი შემთხვევიდან 1994-95 წლების ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი გახლავთ, სადაც „ოლიმპიაშტადიონზე“ შეხვედრა 0:0 დასრულდა, ხოლო ამსტერდამში „აიაქსმა“ 5:2 მოიგო.

მიუნხენში ჩატარებულ შეხვედრაში მასპინძლებმა ორჯერ მოიგეს, ერთხელ კი 0:0 ითამაშეს, ხოლო თუ მხოლოდ „აიაქსთან“ კი არა, საერთოდ ჰოლანდიურ გუნდებთან დავუთვლით, ვნახავთ, რომ თავისდა საამაყოდ „ბაიერნს“ ცხრა შემთხვევიდან ერთხელაც არ წაუგია.

„აიაქსი“ რითღა მოიწონებს თავს? მაგალითად იმით, რომ გერმანულ გუნდებთან ბოლო ოთხი სტუმრობიდან არათუ ერთიც არ წაუგია, ერთი გოლი რომ ერთი გოლია ისიც კი არ გაუშვია. ბოლოს 1980-81 წლების სეზონში წააგო „ბაიერნთან“ 1:5.

„ბაიერნს“ სადღეისოდ დაშავებული ჰყავს მუხლნატკენი როკე სანტა კრუზი, ხოლო „აიაქსს“ ასევე მუხლნატკენი მეკარე მაარტენ სტეკელენბურგი. საეჭვოა მაქსველისა და სტივენ პიენაარის თამაშიც.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1 | 1 0 | 0 | 1:0 | 3 |
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 0 | 1:0 | 3 |
| აიაქსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მაკაბი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |


„ოლდ ტრეფორდზე“ დღეს უეინ რუნის მანჩესტერული დებიუტი ექნება

# ჰანს ჰანის ეშინია

## მანჩესტერს პირველი მარცხი ეღვევა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ სტამბოლის „ფენერბაჰჩესთან“ 1996-97 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე შინ 0:1 დამარცხდა. მაშინ მანჩესტერულ კლუბში ერიკ კანტონა თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდისთვის ევროთასებზე ეს პირველი საშინაო მარცხი გამოდგა, საერთოდ კი „წითლებს“ თურქ მეტოქესთან ამის გარდა არასოდეს წაუგიათ.

„ფენერბაჰჩე“ კრისტოფ დაუმის ხელში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა, თუმც სტამბოლელთა ჰოლანდიელი ფორვარდი პიერ ვან ჰოიდონკი თანამემამულე რუუდ ვან ნისტელროის და ინგლისელ ყმაწვილკაც უეინ რუნის უფრთხის. გამორიცხული არაა, რომ ფერგიუსონის საზაფხულო შენაძენმა რუნიმ დღევანდელ შეხვედრაში დებიუტი მოიწყოს. „ვან ნისტელროისა და რუნის წყვილი ჩემპიონთა ლიგაში შესაძლოა საუკეთესოც იყოს“ — თქვა ვან ჰოიდონკმა, რომელიც ერთ თურქულ სეზონში „ფენერის“ ქომაგთა ჯილა გახდა. „ფენერბაჰჩეს“ მანჩესტერში მოგების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად არ მოუგია, ინგლისურ კლუბებთან დაპირისპირებაში კი აშკარად უარყოფითი ბალანსი აქვს. რვა თამაშიდან ორი მოიგო, ორჯერ წააგო და ოთხჯერ დამარცხდა. ამ შეხვედრებში თურქებმა მხოლოდ სამი გოლის გატანა მოახერხეს.

ფერგიუსონის „მანჩესტერმა“ დისკვალიფიკაციამოხდილი რიო ფერდინანდის დაბრუნების შემდეგ დაცვაში თამაში აშკარად გამოასწორა და პრემიერლიგაში მიჯრით ორი შეხვედრა მოიგო. რაც შეეხება „ფენერბაჰჩეს“, თურქეთის ჩემპიონატში „ტრაბზონსფორთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილს იყოფს. დაუმის გუნდმა გასულ უქმეებზე ანკარაში „გენჩლერბირლიგს“ სძლია. სტუმრებს სერვეთ ჩეთინი ჰყავთ დასჯილი და დღეს ვერ ითამაშებს, ხოლო ქემალი ტრავმირებულია. მასპინძელთაგან პოლ სქოულზის გამოჩენაა საეჭვო.

პრაღაში „სპარტა“ პოლ ლე გუენის „ლიონს“ დაუხვდება. ეს გუნდები ევროთასებზე აქამდე არასოდეს შეხვედრიან. „სპარტა“ პირველ ტურში სტუმრად „ფენერბაჰჩესთან“ დამარცხდა, ხოლო „ლიონმა“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ორბურთიანი სხვაობა გაანიავა. პრაღელებმა ჩემპიონთა ლიგაში ბოლოს შინ კლაუდიო რანიერის „ჩელსისთან“ ერთი წლის წინ წააგეს. მას შემდეგ „სპარტა“ ჩეხეთის დედაქალაქში არ დამარცხებულა. ისე კი, ჩეხებს ფრანგულ კლუბებთან დადებითი ბალანსი აქვთ, რაკი პრაღაში მათთან არასოდეს წაუგიათ. რაც შეეხება „ლიონს“, ჩემპიონთა ლიგის დონეზე ბოლო სამ შეხვედრაში მეტოქეს ორჯერ დაუზავდნენ და ერთხელ დამარცხდნენ. სტუმრებს ჯოვანი ელბერი არ ეყოლებათ, ბრაზილიელი ჟუნინიოს თამაში კი საეჭვოა. დამხვდურებს ლუკაშ ზელენკა ვერ დაეხმარება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |



ფლორენტინო პერესი (მარცხნივ) რემონის თქმით სამწვრთნელო ამბავში არ ერევა

## მარიანო გარსია რემონი:
# მე ვარ წყნარი და ძლიერი

*მადრიდის „რეალი“ კვლავაც ამოუცნობ კრიზისშია. კასტილიელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა „ლევერკუზენთან“ და „ესპანიოლთან“ შერცხვენილი ხოსე ანტონიო კამაჩო მარიანო გარსია რემონით შეცვალა, მაგრამ...*

*დღეს „სამეფო კლუბი“ შელახული რეპუტაციის აღდგენას იტალიურ „რომასთან“ მატჩში შეეცდება. გარსია რემონს „ბილბაოსთან“ წაგებული მატჩის შემდეგ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი ესაუბრა...*

**— „სან მამესზე“ „რეალმა“ ცუდად ითამაშა და შედეგად, კიდევ ერთხელ წააგო...**

— არა მგონია, მარცხი კატასტროფის ტოლფასი იყოს. ხალხი თვლის, რომ ჩვენი პრობლემა ფეხბურთელთა არასაკმარისი მონდომებაა, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. პრობლემები რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ მოდით ყველაფერს ბიჭებს ნუ დავაბრალებთ. მათ გათავისებული აქვთ პასუხისმგებლობა და თავდაუზოგავადაც ვარჯიშობენ. სხვა საქმეა, თუ რამდენად გვიმართლებს მოედანზე.

**— მაშინ გვითხარით, რა პრობლემები აქვს „რეალს“?**

— ბოლო დროს ჩვენი სათამაშო ტაქტიკა მატჩის დროს უეცარ „აფეთქებაზე“ და ცალკეული ინდივიდუალისტების შედეგიან ბურთაობაზე იყო აგებული, თუმც ახლა რატომღაც მეტოქის საჯარიმოსთან მისვლა გვიძნელდება. ფაქტია, ძველი ჩანაფიქრებისა თუ მონახაზების გადასინჯვა მოგვიწევს...

**— „ლევერკუზენმა“ და „ბილბაომ“ ძირითად სისწრაფისა და ნებისყოფის სიმტკიცის ხარჯზე მოგვიგეს...**

— ორივემ პრესინგი შემოგვთავაზა და, სამწუხაროდ, ამას ვერაფერი მოვუხერხეთ — გერმანელებთანაც და ბასკებთანაც ბურთი ვერ დავიჭირეთ.

**— ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ პატრიკ ვიეირას არშემდგარ ტრანსფერს გავიხსენებთ. ბევრის აზრით, „არსენალის“ ფრანგი რომ „ბერნაბეუზე“ გადმოსულიყო, „რეალს“ საყრდენი ნახევარმცველის პრობლემა მოეხსნებოდაო...**

— ფლორენტინო პერესმა და მისმა საპრეზიდენტო საბჭომ ყველაფერი გააკეთა ვიეირას მადრიდში ჩამოსაყვანად, მაგრამ... ცხადია, მასთან ერთად გუნდიც უფრო გაძლიერდებოდა და მეტსაც მოიგებდა.

**— კამაჩოზეც ვთქვათ. ამბობენ, პრეზიდენტი პერესი რამდენიმე ფეხბურთელის თადარიგში ყოფნის გამო აღშფოთდა და ხოსემაც თანამდებობა პერესთან უთანხმოების გამო მიატოვაო...**

— ფლორენტინო პერესი სერიოზული კაცია და დარწმუნებულიც ვარ, ჩემი წინამორბედის საქმიანობაში არც კი ჩაერეოდა. თუ პრეზიდენტი ადგენს შემადგენლობას, ირჩევს ტაქტიკას, მაშ, რა საჭიროა მწვრთნელი? ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი აბსურდია და მეც, კამაჩოს წასვლის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

**— თქვენი სამწვრთნელო სტილი კამაჩოსეულს არ ჰგავს. უფრო ვისენტე დელ ბოსკეს მსგავსად იქცევით, ფეხბურთელებს ნაკლებად უყვირით...**

— ყოველთვის ვცდილობ, ჩემი აზრი სწორად და ტაქტიანად ავხსნა. თუმც დავძენ, გარსია რემონის შინაგანი სიწყნარე მის პიროვნულ სისუსტეს არ ნიშნავს.

**— ახლა ჩემპიონთა ლიგის მატჩი გელით იტალიურ „რომასთან“. გულახდილად თქვით, რას ელით ამ შეხვედრისგან?**

— „სამეფო კლუბის“ ყველა წევრს, ცხადია, მარიანო გარსია რემონის ჩათვლით, მხოლოდ გამარჯვებები სურს და ამის მისაღწევად ძალებს არ დავზოგავთ.

# მაგიური მინიშნებების დღე

*პაოლო დი კანიომ „ფეარ პლეის“ პრინციპების დაცვა მოითხოვა. მოგეხსენებათ, დღეს „ლაციოში“ მოთამაშე ეს ვეტერანი თავის დროზე ფიფამ პატიოსანი თამაშისა და ქცევისათვის დააჯილდოვა, ასე რომ, რა-რა და ამ განხრით ჭკუა მოეკითხება, თუმცა ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, პირდაპირ ვქვათ: საქმე ისაა, რომ კვირას, სერია A-ში „ბრეშამ“ „უდინეზეს“ 2:1 მოუგო, ოღონდ გამარჯვებულთა მეორე გოლმა გვარიანი ბრაზი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კერძოდ, 76-ე წუთზე დანიელე მანინიმ უდინელი მეკარის მორგან დე სანქტისის კარში გოლი ისე გაიტანა, რომ იმ ეპიზოდში დე სანქტისი კარს ვერ იცავდა, დაშავებული იწვა მოედანზე.*



პაოლო დი კანიო

**მოგეხსენებათ,** დი კანიომ ხსენებული ჯილდო ზუსტად ასეთი ეპიზოდისთვის მიიღო. ეს 2000 წელს მოხდა, როდესაც იტალიელი თავდამსხმელი ლონდონის „ვესტ ჰემის“ იყო და ლივერპულში, იქაური „ევერტონის“ წინაალმდეგ თამაშობდა. იმ შეხვედრაში „ევერტონის“ მეკარე პოლ ჯერარდი უდინელი დე სანქტისივით წაიქცა, მაგრამ დი კანიომ მანინისგან განსხვავებით ამით არ ისარგებლა.

„ასე გოლის გატანა არასპორტულია — უთხრა „ლაციოს“ თავდამსხმელმა იტალიის სახელმწიფო ტელეკომპანია RAI-ს — მე თუ მკითხავთ, „ბრეშას“ ასეთი დაწინაურების შემდეგ ძალად უნდა გაეშვა, რათა ანგარიში გათანაბრებულიყო. ინგლისში ერთი-ორი კვირის წინ მოხდა სწორედ ასეთი რამ“.

ეს ამბავი ინგლისის ლიგის თასზე იყო, როდესაც ნაკლებად ცნობილი გუნდები „იეოვილ თაუნი“ და „პლიმუთ ერჯილი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. თამაში პლიმუთში იყო, გოლი მასპინძლებმა გაიტანეს, ოღონდ მიხვდნენ, რომ ასეთი გოლი სამართლიანი არ იყო და მეტოქეს გაათანაბრებინეს ანგარიში.

მაგრამ, მეორე მხრივ, დი კანიო კარგად ხვდება, რომ მანინის რომ არ გაეტანა, შესაძლოა „ბრეშას“ ცხელთავიან ქომაგებთან მოწეოდა საქმის დაჭერა.

მოედანზე კი უსამართლო გოლის შემდეგ ის მოხდა, რომ „უდინეზეს“ ფეხბურთელები ჯერ მსაჯს მიცვივდნენ, ხოლო შემდეგ მეტოქე ფეხბურთელებთან იჩხუბეს. შესაბამისად, მსაჯმა მოედნიდან „უდინეზეს“ ჩეხი ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი და ბრეშელი მწვრთნელი ჯოვანი დე ბიაზი გააძევა. დე ბიაზი ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ მანინიმ დე სანქტისის ტრავმის შესახებ არაფერი იცოდა.

ისე კი, სერია A-ს ბოლო ტური დი კანიოსთვის პირდაპირ მაგიური მინიშნებებისა გამოდგა. ამავე დღეს, კვირას, „ლივორნოსა“ და „ატალანტას“ შეხვედრაში (1:1) ლივორნოელმა იგორ პროტიმ მსაჯს ხელი შეახო, გოლი რატომ არ ჩაგვითვალეო. შეგახსენებთ, რომ დი კანიო 1998 წელს — მაშინ „შეფილდ უენსდიში“ თამაშობდა, ხოლო მატჩი „არსენალთან“ იყო — მსაჯის, პოლ ოლკოკის ხელყოფისთვის 11 შეხვედრით იყო დისკვალიფიცირებული.

**პაპუნა ძიდია**

# პატარა კაცის დიდი ოცნება



ჟუნინიო პაულისტა

„მიდლსბროს“ ქომაგები მხოლოდ ერთ ჟუნინიოს იცნობენ — ჟუნინიო პაულისტა მათი კერპი იყო, როცა ჩია ბრაზილიელი პრემიერლიგის ამ გუნდში ბურთით ჯადოქრობდა. 165 სანტიმეტრი სიმაღლის ბრაზილიელმა მიდლსბროელებს თავი მალევე შეაყვარა. მის კარიერაში კარგი და ცუდად მოსაგონარიც ბევრი ყოფილა, ახლა იგი 31 წლისაა და გლაზგოს „სელტიკში“ თამაშობს. ჟუნინიოს ჰენრიკ ლარსონის შვიდნომრიანი მაისურა ჩააბარეს და ბრაზილიელის საევროთასო დებიუტი ორი კვირის წინ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში შედგა. აქამდე ჟუნინიოს ასეთი დონის ტურნირში არასოდეს უთამაშია. ან კი „მიდლსბროს“ ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში როგორ მოხვდებოდა. დასანანია, რომ „სელტიკმა“ „ბარსელონასთან“ წააგო, ხოლო ჩია გამთამაშებელი შესვენებისას შეცვალეს. მისი მაისურის ყოფილი პატრონი, ამჟამად ბარსელონელი ჰენრიკ ლარსონი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და გოლიც გაიტანა. ჟუნინიომ იცის, რომ სელტიკელი ფანები მისგან გაბრწყინებას ელიან, თავად კი აი, რას ფიქრობს: „შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩებსა და ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს ვერც შევადარებ. სხვაობა ძალიან დიდია. ტრიბუნებზე სულ სხვა ვითარებაა და ქომაგთა განწყობაც განსაკუთრებულია. ჩემპიონთა ლიგაში ჩემი დებიუტით გახარებული ვარ, მაგრამ თამაში არცთუ შთამბეჭდავი გამომივიდა. მიუხედავად ამისა, მსურს, რომ „სელტიკში“ ბოლომდე დავიხარჯო და ამ გუნდის წარმატებაში წვლილი შევიტანო“.

ჟუნინიომ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა, 2002-ში კი კორეა-იაპონიაში რმდენიმე შეხვედრაში ითამაშა და ფინალში შეცვლაზე შევიდა. ბრაზილიელს უნდა, რომ მომავალ მუნდიალზე „პენტაკამპეონების“ შემადგენლობაში იყოს. „მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაში ბევრი ფეხბურთელის ოცნებაა. მე კიდევ ერთხელ მსურს, ეს განვიცადო და, როგორც ბევრი ჩემი თანამემამულე, გერმანიაში მოხვედრაზე ვფიქრობ“.

ჩემპიონთა ლიგაზე და „სელტიკის“ პერსპექტივებზე ჟუნინიო ამბობს: „ჩვენს ჯგუფში ორი აშკარა ფავორიტია — „მილანი“ და „ბარსელონა“. ამიტომ „სელტიკს“ მერვედფინალში გასასვლელად დიდი ბრძოლა მოუწევს, მით უმეტეს, რომ პირველ ტურში დავმარცხდით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

*„ჩელსიმ“ გამოცხადა, რომ მრავალი მილიონი გირვანქის დახარჯვას და ახალი, ევროპაში არნახული საწვრთნელი ცენტრის აშენებას აპირებს. როგორც ამბობენ, ლაპარაკია ლონდონის სამხრეთ-დასავლეთში, კობჰემში მდებარე 3 338 კვადრატულ მეტრზე, რომლიდანაც 15 მოედანი გამოიჭრება და მათგან სამზე საფარქვეშა გათბობის სისტემა დამონტაჟდება*

# უზადლო მომავალი

**იქნება** შენობაც, რომელშიც განათავსებენ საწვრთნელ და სარეაბილიტაციო აღჭურვილობას და ხელოვნურსაფარიან მოედანს, ოღონდ ეს შენობა ნაწილობრივ მიწისქვეშ აშენდება და სახურავიც ბალახისა არის ნავარაუდევი.

ახალი საწვრთნელი ცენტრის დასრულება ნავარაუდევია 2006 წლის ივლისისთვის. ცხადია, ახალ ცენტრში ერთდროულად ვარჯიშის საშუალება ექნება „ჩელსის“ ყველა დონისა და ასაკის გუნდებს.

„ჩელსის“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

„ეს გახლავთ დიდებული ცნობა. ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც მე სამუშაოდ აქ გადმოვედი, კომერსანტის, ბატონი აბრამოვიჩის პიროვნება და მისი პროგრამა გახლავთ. წარმოიდგინეთ, როგორ ეფექტს მოიტანს აკადემიის, ყმაწვილების, რეზერვისტების და პირველი გუნდის ერთდროული ვარჯიშები“.



ჟოზე მაურინიუს პიტერ კინიონი ახალ საწვრთნელ ბაზას შეპირდა

აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი: „კობჰემის პროექტი მთავარია კლუბის მომავლისთვის. ჟოზე მაურინიუს მწვრთნელობაც სხვა მიზეზებთან ერთად ყმაწვილთა და ახალგაზრდათა სტრუქტურებისადმი მისი დამოკიდებულება გახლავთ“.

**პაპუნა ბედია**

### ფეხბურთის რუკასთან

**ჰოლანდიური** ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა დენის ბერხკამპი მართალია, სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას არ აპირებს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ 34 წლის ვეტერანი ლონდონის „არსენალს“ დატოვებს. ვრცელდება ინფორმაცია, „მფრინავი ჰოლანდიელი“ ამსტერდამის „აიაქსში“ გადავაო. ბერხკამპი კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

**განის** ეროვნული გუნდი შესაძლოა მარსელ დესაის ჩააბარონ. ეს პოსტი ცოტა ხნის წინ მარიანუ ბარეტუს გადადგომის შემდეგ გათავისუფლდა. „დესაი ჩვენთვის იდეალური კანდიდატურაა. იმედი გვაქვს, რომ დაგვთანხმდება, ჩვენ მზად ვართ, კონტრაქტი ახლავე გავუფორმოთ“ — განაცხადა განის სპორტის მინისტრმა ჯო აგრიმ. აღსანიშნავია, რომ თავად დესაის არაერთხელ გამოუთქვამს მწვრთნელობის სურვილი და სავარაუდოდ, სიამოვნებით მიიღებს ამ წინადადებას.

**პორტუგალიურმა** „პორტუმ“ სეზონი საკმაოდ ცუდად დაიწყო და პრესაშიც ვიქტორ ფერნანდესის გადაყენებაზე ალაპარაკდნენ თუმც პრეზიდენტი ნუნუ პინტუ და კოშტამას კონტრაქტის გახანგრძლივებას შეჰპირდა. იქაური ჟურნალ-გაზეთები მაინც არ ისვენებენ და სხვადასხვა ინფორმაციებს ავრცელებენ. ერთ-ერთის თანახმად, „პორტუს“ მალე „რეალიდან“ დათხოვილი კამაჩო ჩაიბარებს.

**რუსეთის** საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, 58 წლის ვიქტორ ეფრემოვი ტრაგიკულად დაიღუპა. ანაპასთან ახლოს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად მყოფი ეფრემოვი ზღვაში დაიხრჩო. იგი მოსკოვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც გახლდათ. უბედური შემთხვევის მიზეზი ზუსტად ჯერ არ გარკვეულა. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინგლისური** „ნიუკასლის“ ნახევარმცველი ნიკი ბათი უეფას სადისციპლინო კომიტეტმა სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. „მანჩესტერის“ ყოფილი ფეხბურთელი უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩში „ჰაპოელის“ კაპიტან აბას სვანს ეჩხუბა, რის გამოც მოედნიდან გააგდეს.

**იტალიური** „იუვენტუსის“ შვედი ახალწვეული ზლატან იბრაჰიმოვიჩი სეზონის საწყის ტურებში ჯერჯერობით ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ თავად ფორვარდს მისი თამაში არ აკმაყოფილებს. „სამი გოლი უკვე გავიტანე და ვხედავ, რომ მწვრთნელიც მენდობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჯერ თანაგუნდელებს ბოლომდე ვერ ვუგებ და ბურთსაც ზედმეტად ხშირად ვკარგავ. მაცალეთ სულ ცოტა ერთი კვირა და თქვენ ნახავთ ნამდვილ იბრაჰიმოვიჩს“ — ამაყად შეიქო თავი ზლატანმა.

**შოტლანდიური** „ჰართსის“ მფლობელები ფაქტობრივად, საბოლოოდ შეუთანხმდნენ ლიტველ ბიზნესმენ ვლადიმირ რომანოვს, რომელსაც კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდება სურს და გუნდის მნიშვნელოვნად გადახალისებასაც აპირებს. როგორც ამბობენ, ერთადერთი პრობლემა რომანოვისთვის შესაძლოა, აქციების 20 პროცენტის მფლობელი კრის რობინსონი აღმოჩნდეს.

## ბრაზილია

### სერია A. XXXII ტური

კორინთიანსი — გოიასი 1:0; ატლ. პარანენსე — ფლამენგო 2:1; ვასკუ და გამა — პალმეირასი 2:5; ჟუვენტუდე — კრისიუმა 1:0; ბოტაფოგო — პარანა 4:3; სანტოსი — ვიტორია 4:1; ფიგეირენსე — პონტე პრეტა 0:1; პაისანდუ — კრუზეირო 3:1; ატლ. მინეირო — ინტერნასიონალი 1:1; სან კაეტანო — კურიტიბა 1:0; გრემიო — სან პაულუ 2:1; გუარანი — ფლუმინენსე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 32 | 19 | 4 | 9 | 75:48 | 61 |
| ატლ. პარანენსე | 32 | 18 | 7 | 7 | 58:33 | 61 |
| სან კაეტანო | 32 | 16 | 7 | 9 | 41:26 | 55 |
| პონტე პრეტა | 32 | 16 | 4 | 12 | 30:44 | 52 |
| გოიასი | 32 | 15 | 7 | 10 | 59:51 | 52 |
| ჟუვენტუდე | 32 | 15 | 7 | 10 | 42:38 | 52 |
| პალმეირასი | 32 | 14 | 10 | 8 | 50:32 | 52 |
| კორინთიანსი | 32 | 14 | 9 | 9 | 35:39 | 51 |
| სან პაულუ | 32 | 14 | 8 | 10 | 43:33 | 50 |
| ფლუმინენსე | 32 | 13 | 10 | 9 | 44:41 | 49 |
| კურიტიბა | 32 | 11 | 12 | 9 | 36:32 | 45 |
| ფიგეირენსე | 32 | 11 | 11 | 10 | 38:38 | 44 |
| კრუზეირო | 32 | 12 | 6 | 14 | 45:52 | 42 |
| პაისანდუ | 32 | 11 | 9 | 12 | 41:48 | 42 |
| ინტერნასიონალი | 32 | 11 | 7 | 14 | 41:41 | 40 |
| კრისიუმა | 32 | 10 | 6 | 16 | 43:51 | 36 |
| ვასკუ და გამა | 32 | 9 | 9 | 14 | 47:48 | 36 |
| ფლამენგო | 32 | 9 | 9 | 14 | 32:34 | 36 |
| ატლ. მინეირო | 32 | 7 | 14 | 11 | 39:44 | 35 |
| ბოტაფოგო | 32 | 7 | 13 | 12 | 42:51 | 34 |
| ვიტორია | 32 | 9 | 6 | 17 | 49:59 | 33 |
| გრემიო | 32 | 7 | 11 | 14 | 42:50 | 32 |
| პარანა | 32 | 8 | 6 | 18 | 35:59 | 30 |
| გუარანი | 32 | 6 | 12 | 14 | 26:41 | 30 |

## ურუგვაი

### აპერტურა. IV ტური

პლაზა კოლონია — პენიაროლი 0:2; რენტისტასი — დეფენსორ სპორტინგი 1:2; ფენიქსი — ნასიონალი 0:3; ლივერპული — უონდერერსი 2:2; დანუბიო — სერიტო 1:0

## ავსტრია

### I დივიზიონი. X ტური

ავსტრია (ლ) — კერნტენი 2:2; გრატკორნი — ლინცერი 1:2; უნტერზიბენბრიუნი — ალტახი 2:1; ლეობენი — ვიორგლი 0:0; რიდი — კაპფენბერგი 2:0

## აშშ

### MLS. XVI ტური

კოლუმბუსი — ვაშინგტონი 1:0; დალასი — ნიუ იორკი 0:2; კანზასი — კოლორადო 1:0; ჩიკაგო — ნიუ ინგლენდი 2:0; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 0:0

## არგენტინა

### აპერტურა. VIII ტური

არგ. ხუნიორსი — ალმაგრო 0:0; ბანფილდი — ლანუსი 1:1; კოლონი — სან ლორენსო 3:0; ველესი — ხიმნასია 1:0; რივერ პლეიტი — ოლდ ბოიზი 2:2; ესტუდიანტესი — არსენალი 0:0; ინსტიტუტო — კილმესი 0:2; ურაკანი — ოლიმპო 2:1; ინდეპენდიენტე — რასინგი 1:0; როსარიო — ბოკა ხუნიორსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 8 | 5 | 3 | 0 | 15:9 | 18 |
| ბოკა ხუნიორსი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:5 | 16 |
| ესტუდიანტესი | 8 | 4 | 4 | 0 | 9:4 | 16 |
| ველესი | 8 | 5 | 1 | 2 | 9:8 | 16 |
| ოლდ ბოიზი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 15 |
| ლანუსი | 8 | 3 | 4 | 1 | 12:8 | 13 |
| ინდეპენდიენტე | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 13 |
| კილმესი | 8 | 4 | 1 | 3 | 5:6 | 13 |
| ბანფილდი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:6 | 11 |
| სან ლორენსო | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| ხიმნასია | 8 | 3 | 2 | 3 | 7:9 | 11 |
| კოლონი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:5 | 10 |
| არსენალი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:5 | 10 |
| რასინგი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:10 | 9 |
| როსარიო | 8 | 2 | 2 | 4 | 4:7 | 8 |
| ალმაგრო | 8 | 1 | 5 | 2 | 2:6 | 8 |
| ურაკანი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:13 | 6 |
| არგ. ხუნიორსი | 8 | 1 | 1 | 6 | 3:8 | 4 |
| ოლიმპო | 8 | 1 | 1 | 6 | 4:11 | 4 |
| ინსტიტუტო | 8 | 1 | 1 | 6 | 5:15 | 4 |

## ჩილე

### კლაუსურა. X ტური

პალესტინო — კობრელოა 1:1; უაჩიპატო — კოლო კოლო 2:2; უნიონ ესპანიოლა — უნივერსიდად კათოლიკა 1:2; ევერტონი — კონსეპსიონი 2:1; სან ფელიპე — ტემუკო 1:0; რეინჯერსი — კოკიმბო 0:0; პუერტო მონტი — უონდერერსი 1:0; ლა სერენა — აუდაქს იტალიანო 3:1; უნივერსიდად დე ჩილე — კობრესალი 2:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. VIII ტური

ტრნავა — ინტერი 0:0; ჟილინა — ტრენჩინი 2:2; პეტრჟალკა — რუჟომბეროკი 1:2; ბანსკა ბისტრიცა — პუხოვი 1:1; სობოტა — დუბნიცა 1:1

## ხორვატია

### ნაციონალლიგა IX ტური

ზადარი — კამენი 2:1; სლავენი — პულა 1:0; ვარტექსი — ჰაიდუკი 0:4; დინამო — მედიმურიე 4:1; ოსიეკი — ზაგრები 1:1; რიეკა — ინტერი 2:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. IV ტური

რიუ ავე 0:0 სპორტინგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| მარიტიმუ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| პორტუ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| ბრაგა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ბეირა მარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ლეირია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| რიუ ავე | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| გიმარაეში | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| მორეირენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| პენაფიელი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:9 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

## მექსიკა

### აპერტურა. VII ტური

უნამი — კრუზ ასული 1:3; ატლანტე — ტიგრესი 1:2; პაჩუკა — ვერაკრუსი 1:2; ტოლუკა — ტეკოსი 1:1; ხაგუარესი — პუებლა 1:1; მონტერეი — სანტოს ლაგუნა 1:0; მორელია — სინალოა 3:2; გვადალახარა — ატლასი 1:3; ნეკაქსა — ამერიკა 4:1

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. X ტური

ბადენი — მეირინი 0:2; ვოლენი — იუვენტუსი 0:1; ბელინცონა — ვინტერთური 3:3; კრინსი — კიასო 1:2; ბოლმი — შო დე ფონი 2:1; ბულე — ლუგანო 1:2; კონკორდია — ლუცერნი 2:1; ვილი — ვადუცი 0:2; სიონი — ივერდონი 0:0

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. IX ტური

პრიმორიე — დრავა პტუი 0:0; ბელა კრაინა — კოპერი 1:4; მარიბორი — დომზალე 1:1; მურა — ლიუბლიანა 1:2; ზაგორიე — ნოვა გორიცა 1:3. ოლიმპია — პუბლიკუმი *1:4-ზე ჩაიშალა*

## დანია

### I დივიზიონი. IX ტური

დალუმი — ჰორსენსი 2:3; ჰელერუპი — ფრედერისია 0:0; სკიოლდი — იოლსტიკე 3:3; ფრემი — სონდერიულანდი 1:0; ფრემადი — ბ-93 კოპენჰაგენი 2:0; ნესტვედი — ბრიონსჰიოი 1:1; ნიკიობინგი — აკადემისკი 2:2; ვაილე — კიოგე 1:3

## სერბეთი

### პრვა ლიგა. VII ტური

სუტიესკა — ჟელეზნიკი 1:0; ჩუკარიჩკი — ცრვენა ზვეზდა 0:1; ჰაიდუკი (ბ) — ოფკ 2:3; ჰაიდუკი (კ) — ბუდუჩნოსტი 0:1; სარტიდი — რადნიჩკი 3:0; ზემუნი — ბორაცი 2:2; ზეტა — ვოივოდინა 1:0; პარტიზანი — ობილიჩი 4:1

## ნორვეგია

### I დივიზიონი. XXIV ტური

ალესუნდი — სანდეფიორდი 2:1; ჰაუგესუნდი — ვარდ ჰაუგესუნდი 1:5; ჰიონეფოსი — სტარტი 4:3; კონგსვინგერი — ბრინი 2:1; მოსი — მანდალი 0:0; პორს გრენლანდი — ჰიოდი 4:3; სკეიდი — რაუფოსი 1:2; სტრიომსგოდსეტი — ტრომსდალენი 4:2

## შვედეთი

### სუპერეტა. XXVI ტური

ფრისკა — ატვიდაბერგი 0:1; ბრომაპოიკარნა — ბრაგე 2:2; კაფე ოპერა — ვასტერასი 1:2; ენჩიოპინგი — ასირისკა 1:4; ფალკენბერგი — ნორჩიოპინგი 4:2; ჰეკენი — ბოდენსი 1:4; იოსტერსი — გეფლე 2:4. ფრიოლუნდა — *გაის დღეს გაიმართება*

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. VII ტური

ვაშაში — ფერენცვაროში 0:1; მტკ — ზალაეგერსეგი 2:0; ნირედიპაზა — დებრეცენი 0:2; კაპოშვარი — პეჩი 2:1; ვიდეოტონი — ჰონვედი 4:1; შოპრონი — ტატაბანია 1:0; ბეკეშჩაბა — უიპეშტი 0:5; დიოშდიორი — დიორ ეტო 2:3

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 22.45 | 141 | ბარნლი-კარდიფი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.45 | 142 | ჯილინგემი-ლესტერი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 22.45 | 143 | იფსვიჩი-რედინგი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.45 | 144 | ლიდსი-სტოკი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.45 | 145 | პრესტონი-პლიმუთი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 22.45 | 146 | ქპრ-ქოვენტრი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 22.45 | 147 | როტერჰემი-ქრიუ | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.45 | 148 | შეფილდი-სანდერლენდი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 22.45 | 149 | უოტფორდი-უიგანი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 22.45 | 150 | დერი-ვესტ ჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 22.45 | 151 | ნოტინგემი-ბრაიტონი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | გერმანია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 027 | ჰანოვერი-არმინია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 268 | პალერმო-სალერნიტანა | 1,3 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,66 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 269 | რეჯინა-ატალანტა | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,14 | 1,26 | 1,71 |
| 20.00 | 270 | ლეჩე-ლივორნო | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 22.30 | 271 | კიევო-ტორინო | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,11 | 1,27 | 1,74 |
| 22.30 | 272 | ბრეშა-ფიორენტინა | 2,25 | 2,8 | 3,2 | 1,24 | 1,32 | 1,49 |
| 22.30 | 273 | კალიარი-ტრიესტინა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 22.30 | 274 | ბოლონია-ტერნანა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | 30 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 275 | სიენა-მესინა | 2,15 | 2,9 | 3,3 | 1,23 | 1,3 | 1,54 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 28 სექტემბერი | | | | | | |
| 22.45 | 001 | მონაკო-დეპორტივო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.45 | 002 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.45 | 003 | დინამო-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.45 | 004 | რეალი-რომა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.45 | 005 | ბაიერნი-აიაქსი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 22.45 | 006 | იუვენტუსი-მაკაბი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 22.45 | 007 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.45 | 008 | სპარტა-ლიონი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | 29 სექტემბერი | | | | | | |
| 20.30 | 009 | ცსკა-პსჟ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.45 | 010 | ჩელსი-პორტუ | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.45 | 011 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.45 | 012 | როზენბორგი-არსენალი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| 22.45 | 013 | ბარსელონა-შახტარი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.45 | 014 | მილანი-სელტიკი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.45 | 015 | ანდერლეხტი-ინტერი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 22.45 | 016 | ვერდერი-ვალენსია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 101 | დინამო(თბ)-ვისლა | 4,4 | 3,4 | 1,5 | 1,91 | 1,11 | 1,04 |
| 19.00 | 102 | ვენჩლერბირლიგი-ეგალეო | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 20.00 | 103 | მეტალურგსი-შალკე | 4,4 | 3,6 | 1,65 | 1,98 | 1,2 | 1,13 |
| 20.00 | 104 | დნიპრო-მაკაბი(პ) | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 105 | ჰერენვენი-მაკაბი(ფ.თ) | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 20.00 | 106 | შტუტგარტი-უიპეშტი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 20.15 | 107 | ცსკა-სტიაუა | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 20.30 | 108 | შატორუ-ბრიუგე | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 20.30 | 109 | ამიკა-ვენტსპილსი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 21.00 | 110 | სტაბეკი-სოშო | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 21.00 | 111 | დინამო(ბქ)-პარტიზანი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.00 | 112 | ლიტექსი-გრაცერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.00 | 113 | სივმა-სარაგოსა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 21.30 | 114 | ლილი-შელბურნი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 21.30 | 115 | ცრვენა ზვეზდა-ზენიტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 21.30 | 116 | ბეშიქთაში-ბოდიო გლიმტი | 1,25 | 4,8 | 8,0 | 1 | 1,08 | 3 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 117 | ბრაგა-ჰართსი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.45 | 118 | ჰაპოელი-ნიუკასლი | 4,6 | 3,5 | 1,65 | 1,98 | 1,21 | 1,12 |
| 22.00 | 119 | ბევერენი-ლევსკი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 120 | ოსერი-ოლბორგი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 22.00 | 121 | ალკმაარი-პაოკ | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.00 | 122 | ალემანია-ჰაფნარფიორდური | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 123 | ელფსბორგი-დინამო(ზ) | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.15 | 124 | ბაზელი-ტერეკი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 22.15 | 125 | იურგორდენი-უტრეხტი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 22.15 | 126 | მარიბორი-პარმა | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 22.30 | 127 | ფეიენოორდი-ოდ გრენლანდი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 22.30 | 128 | ბოხუმი-სტანდარდი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 22.30 | 129 | აეკ-გორიცა | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.45 | 130 | ლეგია-ავსტრია | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 22.45 | 131 | რაპიდი-სპორტინგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 22.45 | 132 | ბანიკი-მიდლსბრო | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.00 | 133 | რეინჯერსი-მარიტიმუ | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 134 | ლაციო-მეტალურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 23.00 | 135 | ნასიონალი-სევილია | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 23.00 | 136 | ფერენცვაროში-მილუოლი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 23.00 | 137 | ულინზხე-პანიონიოსი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 23.00 | 138 | ბენფიკა-ბ.ბისტრიცა | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 23.30 | 139 | ბილბაო-ტრაბზონი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 24.00 | 140 | ვილიარეალი-ჰამარბი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 345 | 19:15 | ისტრი-მარსელი | 3.1 | 3.0 | 2.17 | 1.52 | 1.27 | 1.25 |
| 346 | 22.00 | ლანსი-აიაჩო | 1.6 | 3.3 | 5.2 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 347 | 22.00 | კაენი-ბორდო | 2.43 | 3 | 2.67 | 1.34 | 1.27 | 1.41 |
| 348 | 22.00 | სტრასბური-ნანტი | 2.4 | 3.15 | 2.6 | 1.36 | 1.24 | 1.42 |
| 349 | 22.00 | მონაკო-ნიცა | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 350 | 22:00 | ბასტია-პსჟ | 2.5 | 3.1 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 351 | 20.00 | მეცი-სოშო | 2.1 | 3.0 | 3.25 | 1.23 | 1.27 | 1.55 |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 352 | 20.00 | რენი-ლილი | 2.2 | 3.1 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 353 | 20.00 | ტულუზი-ოსერი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 354 | 23.00 | სტ.ეტიენი-ლიონი | 3.7 | 3.0 | 1.35 | 1.65 | 1.27 | 1.18 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 382 | 22.00 | ნაიმეგენი-როზენდალი | 1.65 | 3.5 | 4.32 | 1.12 | 1.19 | 1.93 |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 383 | 21.30 | ბრედა-გრააფსხაპი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 384 | 21.30 | პსვ-გრონინგენი | 1.15 | 5.6 | 13 | 1 | 1.05 | 3.91 |
| 385 | 21.30 | ტილბურგი-ვიტესი | 2.0 | 3.3 | 3.15 | 1.24 | 1.22 | 1.61 |
| 386 | 22.00 | ტვენტე-როდა | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 387 | 14.30 | ალკმაარი-აიაქსი | 3.8 | 3.3 | 1.8 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 388 | 16.30 | ფეიენოორდი-დენ ბოსხი | 1.15 | 5.8 | 12 | 1.0 | 1.04 | 3.91 |
| 389 | 16.30 | ჰერენვენი-დენ ჰააგი | 1.5 | 3.4 | 6.2 | 1.04 | 1.2 | 2.19 |
| 390 | 16.30 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | | | | |
| 391 | 22.00 | სპარტა-ზვოლე | 2.2 | 3.25 | 2.69 | 1.31 | 1.21 | 1.47 |
| 392 | 22.00 | ტელსტარი-კამბური | 2.2 | 3.3 | 2.65 | 1.32 | 1.2 | 1.46 |
| 393 | 22.00 | ვენლო-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.2 | 6.45 | 1.02 | 1.11 | 2.54 |
| 394 | 22.00 | აპელდორნი-ოსი | 2.05 | 3.3 | 2.9 | 1.26 | 1.2 | 1.54 |
| 395 | 22.00 | ვეენდამი-მაასტრიხტი | 1.6 | 3.5 | 4.48 | 1.09 | 1.17 | 1.96 |
| 396 | 22.00 | სიტარდი-ვოლენდამი | 2.5 | 3.3 | 2.31 | 1.42 | 1.2 | 1.35 |
| 397 | 22.00 | იგლსი-ემენი | 2.1 | 3.3 | 2.81 | 1.28 | 1.2 | 1.51 |
| 398 | 22.00 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 2.6 | 3.3 | 2.23 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 399 | 22.00 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1.6 | 3.6 | 4.3 | 1.1 | 1.16 | 1.95 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 518 | 17.00 | ვარდ ჰაუგესუნდი-სკეიდი | 2.2 | 4.1 | 2.3 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 519 | 17.00 | სტარტი-კონგსვინგერი | 1.35 | 4.5 | 5.7 | 1.03 | 1.09 | 2.51 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 520 | 17.00 | სანდეფიორდი-ჰაუგესუნდი | 1.35 | 5.0 | 5.4 | 1.06 | 1.08 | 2.59 |
| 521 | 17.00 | ჰიონეფოსი-მანდალი | 1.75 | 4.2 | 3.1 | 1.23 | 1.11 | 1.78 |
| 522 | 17.00 | რაუფოსი-სტრიომსგოდსეტი | 1.8 | 4.2 | 3.0 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 523 | 17.00 | ტრიომსდალენი-პორს გრენლანდი | 2.7 | 3.9 | 2.0 | 1.59 | 1.14 | 1.32 |
| 524 | 17.00 | ჰიოდი-მანდალი | 1.7 | 3.8 | 3.6 | 1.17 | 1.15 | 1.84 |
| 525 | 17.00 | ბრინი-ალესუნდი | 2.7 | 3.9 | 2.0 | 1.59 | 1.14 | 1.32 |
| | | **ბრაზილია. სერია A** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 583 | 03.30 | კურიტიბა-გრემიო | 1.6 | 3.3 | 4.5 | 1.07 | 1.18 | 1.9 |
| 584 | 03.30 | კრუზეირო-ფიგეირენსე | 1.8 | 3.1 | 4.2 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 585 | 03.30 | ფლუმინენსე-ატლეტიკო მნ | 1.6 | 3.3 | 4.5 | 1.07 | 1.18 | 1.9 |
| 586 | 03.30 | სან პაულუ-პაისანდუ | 1.5 | 3.6 | 4.9 | 1.05 | 1.14 | 2.07 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 587 | 03.30 | კრიციუმა-გუარანი | 1.7 | 3.1 | 4.92 | 1.09 | 1.26 | 1.9 |
| 588 | 03.30 | გოიასი-ჟუვენტუდი | 1.8 | 3.1 | 4.15 | 1.13 | 1.25 | 1.77 |
| 589 | 03.30 | პალმეირასი-სან კაეტანო | 2.0 | 3.0 | 3.5 | 1.2 | 1.27 | 1.61 |
| 590 | 03.30 | პარანა-ვასკუ და გამა | 2.2 | 3.0 | 3.05 | 1.26 | 1.27 | 1.51 |
| 591 | 03.30 | ვიტორია-ატლეტიკო პრ | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 592 | 04.50 | ფლამენგო-კორინთიანსი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 593 | 04.50 | ინტერნასიონალი-სანტოსი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 594 | 04.50 | პონტე პრეტა-ბოტაფოგო | 1.6 | 3.3 | 4.5 | 1.07 | 1.18 | 1.9 |
| | | **მექსიკა. აპერტურა** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 566 | 23.00 | პუებლა-მონტერეი | 1.8 | 3.2 | 3.5 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| 567 | 23:45 | ტეკოსი-საგუარესი | 1.9 | 3.2 | 3.2 | 1.19 | 1.19 | 1.6 |
| 568 | 23:45 | სანტოსი-ნეკასა | 1.95 | 3.1 | 3.2 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| 569 | 23:45 | ტიგრესი-პაჩუკა | 1.9 | 3.1 | 3.35 | 1.17 | 1.21 | 1.61 |
| 570 | 23:45 | ვერაკრუსი-ტოლუკა | 1.8 | 3.1 | 3.75 | 1.13 | 1.21 | 1.69 |
| 571 | 23:45 | ამერიკა-მორელია | 1.75 | 3.2 | 3.8 | 1.13 | 1.19 | 1.73 |
| 572 | 23:45 | დორადოსი-ჩივასი | 2.2 | 3.1 | 2.6 | 1.28 | 1.19 | 1.41 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 609 | 22.30 | სტ.ჯონსტონი-ფოლკირკი | 2.5 | 3.5 | 2.3 | 1.45 | 1.19 | 1.38 |
| 610 | 22.30 | როსი-ფორფარი | 1.55 | 3.9 | 4.6 | 1.1 | 1.15 | 2.11 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 532 | 21.00 | ფრიოლუნდა-გაის | 2.3 | 3.0 | 2.65 | 1.3 | 1.23 | 1.4 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 620 | 18.00 | დალუმი-ნორდსიელანდი | 10 | 4.8 | 1.25 | 3.24 | 1.11 | 1.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 621 | 21.00 | ფრემი-რანდერსი | 2.6 | 3.3 | 2.25 | 1.45 | 1.2 | 1.33 |
| 622 | 21.00 | ფრემადი-ფრედერისია | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 623 | 21.00 | ბ 93-იოლსტიკე | 5.2 | 4.1 | 1.45 | 2.29 | 1.13 | 1.07 |
| 624 | 21.00 | ჰორსენსი-სილკებორგი | 2.7 | 3.4 | 2.1 | 1.5 | 1.18 | 1.29 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 933 | 14.00 | ავანგარდი-ხიმიკი | 1.2 | 6.5 | 6.5 | 1.01 | 1.01 | 3.25 |
| 934 | 14.00 | ნოვოკუზნეცკი-სიბირი | 1.36 | 5.5 | 4.5 | 1.09 | 1.04 | 2.47 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 910 | 19.00 | ვიტკოვიცე-კლადნო | 1.85 | 4.25 | 2.8 | 1.28 | 1.11 | 1.68 |
| 911 | 19.00 | ვსეტინი-ზნოიმო | 2.1 | 4.0 | 2.4 | 1.37 | 1.12 | 1.5 |
| 912 | 19.00 | პლზენი-ლიტვინოვი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 913 | 19.30 | დუკლა-სლავია | 3.1 | 4.3 | 1.7 | 1.8 | 1.09 | 1.21 |
| 914 | 19.30 | კარლოვი ვარი-ტრჟინეცი | 2.2 | 4.1 | 2.3 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 915 | 20.00 | პარდუბიცე-ზლინი | 1.75 | 4.3 | 2.9 | 1.24 | 1.09 | 1.73 |
| 916 | 20.30 | სპარტა-ლიბერეცი | 1.6 | 4.4 | 3.5 | 1.17 | 1.09 | 1.94 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 917 | 19.00 | დუბნიცა-კოშიცე | 6 | 4.6 | 1.35 | 2.6 | 1.1 | 1.04 |
| 918 | 19.00 | მიკულაში-სკალიცა | 1.85 | 4.2 | 2.85 | 1.28 | 1.12 | 1.69 |
| 919 | 19.00 | ნიტრა-ჟილინა | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 920 | 19.00 | სლოვანი-ტრენჩინი | 2.2 | 4.1 | 2.3 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| 921 | 19.00 | ზვოლენი-პოპრადი | 1.35 | 4.6 | 6 | 1.04 | 1.1 | 2.6 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 900 | 21.00 | იურგორდენი-მორა | 1.22 | 6.5 | 6.5 | 1.02 | 1.02 | 3.25 |
| 901 | 21.00 | ფერიესტადი-სოდერტელიე | 1.45 | 4.9 | 4.2 | 1.11 | 1.07 | 2.26 |
| 902 | 21.00 | ლინჩიოპინგი-ჰვ 71 | 2.0 | 4.5 | 2.5 | 1.38 | 1.11 | 1.6 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 904 | 19.30 | სეიპა-ჰელსინკი | 2.5 | 4.5 | 1.95 | 1.6 | 1.09 | 1.36 |
| 905 | 19.30 | ესპოო-ილვესი | 1.95 | 4.2 | 2.6 | 1.33 | 1.11 | 1.6 |
| 906 | 19.30 | ესეტი-ტურკუ | 2.6 | 4.5 | 1.9 | 1.64 | 1.09 | 1.33 |
| 907 | 19.30 | ჰამეენლინა-ლუკო | 1.8 | 4.5 | 2.8 | 1.28 | 1.09 | 1.72 |
| 908 | 19.30 | ტაპარა-პელიკანსი | 1.4 | 4.7 | 4.8 | 1.07 | 1.08 | 2.37 |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 909 | 19.30 | იოკერიტი-კერპეტი | 1.9 | 4.25 | 2.7 | 1.31 | 1.11 | 1.65 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5027 | ჰანოვერი-არმინია | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5001 | მონაკო-დეპორტივო | 2,45 | 2,0 | 4,2 | 1,1 | 1,54 | 1,35 |
| 5002 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 3,3 | 2,0 | 3,0 | 1,24 | 1,57 | 1,2 |
| 5003 | დინამო-ლევერკუზენი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5004 | რეალი-რომა | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5005 | ბაიერნი-აიაქსი | 1,95 | 2,2 | 5,6 | 1,03 | 1,44 | 1,57 |
| 5006 | იუვენტუსი-მაკაბი | 1,25 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,09 | 2,95 |
| 5007 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 1,55 | 2,8 | 7,0 | 1 | 1,26 | 2 |
| 5008 | სპარტა-ლიონი | 3,0 | 2,0 | 3,3 | 1,2 | 1,57 | 1,24 |
| 5009 | ცსკა-პსჟ | 2,4 | 2,0 | 4,4 | 1,09 | 1,55 | 1,37 |
| 5010 | ჩელსი-პორტუ | 1,8 | 2,35 | 5,6 | 1,01 | 1,36 | 1,65 |
| 5011 | პსვ-პანათინაიკოსი | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5012 | როზენბორგი-არსენალი | 5,6 | 2,3 | 1,85 | 1,63 | 1,39 | 1,02 |
| 5013 | ბარსელონა-შახტარი | 1,35 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,43 |
| 5014 | მილანი-სელტიკი | 1,55 | 2,8 | 7,0 | 1 | 1,26 | 2 |
| 5015 | ანდერლეხტი-ინტერი | 3,8 | 2,0 | 2,6 | 1,31 | 1,54 | 1,13 |
| 5016 | ვერდერი-ვალენსია | 3,2 | 2,0 | 3,1 | 1,23 | 1,57 | 1,21 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5427 | ჰანოვერი-არმინია | 1,65 | 2,3 |
| 5401 | მონაკო-დეპორტივო | 1,8 | 2,0 |
| 5402 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 1,95 | 1,85 |
| 5403 | დინამო-ლევერკუზენი | 1,8 | 2,0 |
| 5404 | რეალი-რომა | 1,4 | 3,0 |
| 5405 | ბაიერნი-აიაქსი | 1,45 | 2,8 |
| 5406 | იუვენტუსი-მაკაბი | 1,1 | 5,0 |
| 5407 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 1,25 | 3,7 |
| 5408 | სპარტა-ლიონი | 1,9 | 1,9 |
| 5409 | ცსკა-პსჟ | 1,75 | 2,1 |
| 5410 | ჩელსი-პორტუ | 1,4 | 3,0 |
| 5411 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,55 | 2,5 |
| 5412 | როზენბორგი-არსენალი | 2,8 | 1,45 |
| 5413 | ბარსელონა-შახტარი | 1,15 | 4,4 |
| 5414 | მილანი-სელტიკი | 1,25 | 3,7 |
| 5415 | ანდერლეხტი-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 5416 | ვერდერი-ვალენსია | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5127 | ჰანოვერი-არმინია | 2,7 | 10,0 | 20.0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 5101 | მონაკო-დეპორტივო | 3,1 | 10,0 | 20.0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20.0 | 10.0 | 5,3 |
| 5102 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 5103 | დინამო-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10.0 | 4,4 |
| 5104 | რეალი-რომა | 2,1 | 10,0 | 20.0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10.0 | 9,0 |
| 5105 | ბაიერნი-აიაქსი | 2,2 | 10,0 | 20.0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5106 | იუვენტუსი-მაკაბი | 1,4 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,5 | 20.0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5107 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5108 | სპარტა-ლიონი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4.0 |
| 5109 | ცსკა-პსჟ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5.3 |
| 5110 | ჩელსი-პორტუ | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5111 | პსვ-პანათინაიკოსი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5112 | როზენბორგი-არსენალი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10.0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 5113 | ბარსელონა-შახტარი | 1.5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |
| 5114 | მილანი-სელტიკი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5115 | ანდერლეხტი-ინტერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5116 | ვერდერი-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5527 | ჰანოვერი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5501 | მონაკო-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | დინამო-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | რეალი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ბაიერნი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | იუვენტუსი-მაკაბი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | სპარტა-ლიონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ცსკა-პსჟ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | ჩელსი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | პსვ-პანათინაიკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | როზენბორგი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბარსელონა-შახტარი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | მილანი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ანდერლეხტი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ვერდერი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5327 | ჰანოვერი-არმინია | 1,65 | 1,95 |
| 5301 | მონაკო-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5302 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5303 | დინამო-ლევერკუზენი | 1,7 | 1,9 |
| 5304 | რეალი-რომა | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ბაიერნი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| 5306 | იუვენტუსი-მაკაბი | 1,9 | 1,7 |
| 5307 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 1,75 | 1,85 |
| 5308 | სპარტა-ლიონი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | ცსკა-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 5310 | ჩელსი-პორტუ | 1,7 | 1,9 |
| 5311 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,7 | 1,9 |
| 5312 | როზენბორგი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ბარსელონა-შახტარი | 1,85 | 1,75 |
| 5314 | მილანი-სელტიკი | 1,8 | 1,8 |
| 5315 | ანდერლეხტი-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ვერდერი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5227 | ჰანოვერი-არმინია | 1,95 | 1.65 |
| 5201 | მონაკო-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5202 | ოლიმპიაკოსი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5203 | დინამო-ლევერკუზენი | 1,75 | 1,85 |
| 5204 | რეალი-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5205 | ბაიერნი-აიაქსი | 1,8 | 1,8 |
| 5206 | იუვენტუსი-მაკაბი | 2,1 | 1,55 |
| 5207 | მანჩესტერი-ფენერბაჩე | 1,9 | 1,7 |
| 5208 | სპარტა-ლიონი | 1,65 | 1,95 |
| 5209 | ცსკა-პსჟ | 1,7 | 1,9 |
| 5210 | ჩელსი-პორტუ | 1,75 | 1,85 |
| 5211 | პსვ-პანათინაიკოსი | 1,85 | 1,75 |
| 5212 | როზენბორგი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5213 | ბარსელონა-შახტარი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | მილანი-სელტიკი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ანდერლეხტი-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 5216 | ვერდერი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამსი უნიქსის იქნება
## ქართველი ზანგი რუსეთში დასახლდა

ახლახან „გაქართველებული“ შემონდ უილიამსი უკვე რუსული უნიკსს წევრია. ნბა-ში ჭიპმოჭრილი გამთამაშებელი ევროპის კონტინენტზე გადმობარგდა, როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე. უილიამსმა ერთი თვის წინ საქართველოს პასპორტი აიღო, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს საკვალიფიკაციო მატჩებში შეეშველა და გუშინწინ რუსული ცსკა-ს მარადიულ მეტოქე ყაზანის „უნიკსში“ ჩაირიცხა. „უნიკსს“ არა აქვს იმხელა ბიუჯეტი, რამხელაც რუსულ ფლაგმან ცსკა-ს, მაგრამ ბოლო წლებში არმიული კლუბისთვის აქილევსის ქუსლი გამხდარა. „უნიკსმა“ ბოლო ორი ფინალი ცსკა-სთან წააგო და ახლა ახალი ჯახისთვის ემზადება, რისთვისაც შემადგენლობას საგანგებოდ არჩევს. უილიამსის „უნიკსში“ ჩარიცხვის ამბავი რუსული კალათბურთის ლეგენდამ, ყაზანელთა მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ ერიომინმა გვამცნო



სტანისლავ ერიომინს ქართველი ზანგის ეიმედება

— ბატონო სტანისლავ, საქართველოდან გაწუხებთ, შემონდ უილიამსის ამბავი გვაინტერესებს...

— ვიცი, რომ უილიამსი თქვენი ნაკრების წევრია და ისიც გავიგე, რომ მისი დახმარებით ფინეთი დაამარცხეთ. მინდა, გითხრათ, რომ უილიამსი საკმაოდ ძლიერი გამთამაშებელია და ის გუშინ ჩაირიცხა „უნიკსში“.

— უილიამსი „უნიკსს“ ხორვატიაში ახლდა და ალბათ იქ გადაწყვიტეთ გუნდში მისი დატოვება...

— დიახ, ის ხორვატიაში იყო და ამხანაგურ მატჩებში დაგვეხმარა. სწორედ ხორვატში დაგვიმტკიცა, რომ კარგი მოთამაშეა და ჩვენც ამის შემდეგ გადავწყვიტეთ გუნდში მისი აყვანა.

— რა პირობებით შეიმატეთ უილიამსი?

— შემონდს ერთწლიანი კონტრაქტი გავუფორმეთ, ხელშეკრულების დანარჩენ პირობებზე კი ალბათ არ ღირს საუბარი, იდეალურია.

— „უნიკსი“ რუსეთში პირველობისთვის იბრძვის, რასაც მოსკოვის ცსკა არ განებებთ...



— ჩვენ დასანანი ფინალები წავაგეთ შარშან და შარშანწინ, მაგრამ ახლა გამარჯვებას ვგეგმავთ. „უნიკსს“ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, ცსკა-სთან ბრძოლა შეუძლია და შემონდ უილიამსის გამოცდილებაც ძალიან დაგვეხმარება.

— უილიამსი დაეხმარა საქართველოს ნაკრებს, თუმც მთლად ისე ვერა, როგორც გულშემატკივარი ისურვებდა...

— ვიცი, რომ თქვენმა ნაკრებმა მაკედონიაში წააგო, თუმც ოთხი ქულით დამარცხება ტრაგედია არ არის. მაკედონია ძალიან გამოცდილი ნაკრებია, ევროჩემპიონატზეც უთამაშია და თუ მოინდომებთ, საპასუხო მატჩში უფრო დიდი სხვაობით მოუგებთ.

**ირაკლი პერტაია**

# ქართველი საფრანგეთს ზემოდან გადმოჰყურებს
## ათუაშვილს სათუო არაფერი აქვს



*ყველაზე მაღალი ქართველი კალათბურთელი საფრანგეთშიც ყველას ზემოდან დაჰყურებს — 223-სანტიმეტრიანი სერგო ათუაშვილი ფრანგულ საკალათბურთო ელიტაში გაერია და „შალონის“ ძირითად გუნდში უკვე რამდენიმე მატჩიც მოილია. „ჯერ ცოტა ხნით მათამაშებენ და ეს სულაც არ მიკვირს. მე ხომ კარგა ხნის უვარჯიშებელი ვიყავი და საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ხუთეულში ასე უცებ რომ არავინ ჩამსვამს, კარგად ვიცი“ — გვეუბნება ათუაშვილი შალონიდან. ამავდროულად „შალონის“ დუბლებში ჩინებულად თამაშობს დავით საყვარელიძე, რომელიც გუნდთან კონტრაქტს დღე-დღეზე გააფორმებს, მანამდე კი ამხანაგურ მატჩებში შალონელებს საბოლოოდ დაუმტკიცა თავისი შესაძლებლობები. შალონურ ამბებზე სერგო ათუაშვილი გვესაუბრება...*

— გუშინ დავბრუნდით პარიზიდან, სადაც სამი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ. სამწუხაროდ, სამივე წავაგეთ, მაგრამ საგანგაშო არაფერია, ნამდვილი ბრძოლები 9 ოქტომბირდან გვეწყება, როცა საფრანგეთის ჩემპიონატი დაიწყება.

**— პარიზში დავით საყვარელიძეც გახლდათ?**

— არა, საყვარელიძე შალონში დარჩა და დუბლიორთა გუნდში რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშა. წუხელ ჩამოვედი და დათოსთანაც ბევრი არ მილაპარაკია, თუმც იმის თქმა მოასწრო, მაგრამ ვითამაშეო. ძალიან კმაყოფილი იყო.

**— შენ როგორღა ითამაშე? სამივე პარიზულ მატჩში მოგიწია მოედანზე გასვლა?**

— სამივეში ვითამაშე, მაგრამ მთლად კმაყოფილი არ ვარ. ჩვენი მეტოქეები იყვნენ „ლე ავრი“, „გრაველინი“ და ერთიც პოლონეთის უძლიერესი გუნდი. ასე რომ, მეტოქეები საკმაოდ ძლიერები იყვნენ და მწვრთნელმაც მცირე ხნით მათამაშა. დაახლოებით 8-10 წუთით ვიყავი თითოეულ მატჩში მოედანზე. მე უფრო იმ მატჩებს გამოვარჩევდი, პარიზამდე რომ ვითამაშეთ საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში.

**— მაინც რომელს გამოარჩევ?**

— ბელგიურ „ოსტენდესთან“ 20 წუთზე მეტხანს დამტოვა მწვრთნელმა მოედანზე და მეც 10 ქულის მოგროვება მოვახერხე. მოხსენებაც ბლომად დამიგროვდა, ზუსტად არ მახსოვს, რამდენი.

**— მოხსენებში მაგსიმაღლე კაცს მართლაც ცოტა კონკურენტი გეყოლება...**

— რა ვიცი, ყველა გუნდს ჯერ ხომ არ ვიცნობ, ეგებ გამიჭირდეს კიდეც. ისე, ოფიციალურად ყველაზე მაღალ მოთამაშედ ვითვლები უმაღლეს ლიგაში და მთლიანად საფრანგეთშიც.

**— ესე იგი, „შალონის“ ყველა ამხანაგურ მატჩში ითამაშე?**

— ყველაში. თავიდან საკმაოდ ბევრს დროს მაძლევდნენ, საშუალოდ 20 წუთი ვიყავი ხოლმე მოედანზე, თუმც პარიზში უფრო ხშირად სკამზე ვიჯიქი.

**— გული ხომ არ გწყდება ამის გამო?**

— თამაში როგორ არ მინდა, მაგრამ ამავდროულად რეალისტიც ვარ. „შალონში“ ჩარიცხვამდე ერთი წელი არ მივარჯიშია და საფრანგეთის უმაღლესი ლიგის გუნდში სისტემატურად თამაშის პრეტენზია არც მაქვს. ამ ეტაპზე ჩემთვის ისიც წარმატებაა, ასეთი ძლიერი გუნდის ძირითად შემადგენლობაში რომ მოვხვდი, დანარჩენი კი ჩემზეა დამოკიდებული. თუ აქამდელ ამხანაგურ მატჩებში უფრო ხშირად გავდიოდი მოედანზე, ახლა „შალონი“ სრულად შეიკრიბა, გუნდის ლიდერებიც შემოგვემატნენ და არც მიკვირს, მწვრთნელი რომ ნაკლებად მენდობა. რამდენიმე თვე მჭირდება და ალბათ „შალონში“ უფრო მყარად მოვიკიდებ ფეხს.

**— სათამაშო პრაქტიკა თუ არ გექნება, როგორ მოუმატებ?**

— ასაკი მაძლევს იმის საშუალებას, რომ დუბლებშიც ვითამაშო. ასე, რომ ახალგაზრდულ გუნდშიც ვიქნები და ძირითადშიც.

**— საყვარელიძეც ორივეგან ითამაშებს?**

— არა, ის მხოლოდ დუბლიორებში იქნება.

**— საყვარელიძემ ამას წინათ თქვა, კონტრაქტი დღე-დღეზე უნდა გავაფორმოო...**

— ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ მისი დატოვება უკვე გადაწყვიტეს შალონელებმა და ხელშეკრულებასაც მალე დაუდებენ. ამის გაკეთება აქამდე იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ „შალონის“ აღმასრულებელი დირექტორი მივლინებაში იყო და უმისოდ კლუბში ოფიციალური დოკუმენტი ვერ გაფორმდებოდა. ახლა ის უკვე შალონშია და საყვარელიძის კონტრაქტსაც საშველი დაადგება.

**— საფრანგეთის ჩემპიონატის დაწყებამდე რა გეგმები აქვს „შალონს“?**

— პირველ, ორ და სამ ოქტომბერს ამხანაგურ მატჩებს ვითამაშებთ და ჩემპიონატის დაწყებას დაველოდებით. ახალ ჩემპიონატს ახალ ბინაში შევხვდებით მე და საყვარელიძე — იქით კვირაში „შალონი“ სხვა, უფრო კომფორტულ სახლს გვაძლევს.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

# შუქი, ფული, ტრამვები...
## სამბისტებმა კიშინიოვიდან ვერცხლეული ჩამოიტანეს

**მოლდოვის** დედაქალაქ კიშინიოვში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა, სადაც ორად ორმა ქართველმა უწია საპრიზო სიმაღლეს: ევროპის ჩემპიონმა გელა ბარათაშვილმა (57კგ) და არჩილ ჩოხელმა (74კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ბოლო წლებში ჩვენი სამბისტები უფრო დოვლათიანად ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთიდან, თუმც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ იაძემ კიშინიოვში ოპტიმალური შემადგენლობა ვერ წაიყვანა და მწირმედლიანობაც ამას უნდა დაბრალდეს.

„არ გვყავდა ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82კგ) და ტრავმირებული მირიან პავლიაშვილი (100 კგ), ხოლო ჩვენმა აღზრდილმა გიორგი შუბითიძემ აშშ-ის სახელით იჭიდავა და ისიც ფინალში დამარცხდა. შეჯიბრს ორგანიზაციული დონე არ აკლდა და მოლდოვის პრეზიდენტი ვორონინი ლამის ყველა ორთაბრძოლას ესწრებოდა. სულ 28 ქვეყნის სამბისტები მონაწილეობდნენ და გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მე-7 ადგილზე გავედით. „მხოლოდ" იმიტომ, რომ ჭიდაობის ქვეყნისთვის ორი კი არა, ოთხი-ხუთი მედალიც კი არაფერს ნიშნავს. სხვა საქმეა, რომ საშინელ პირობებში ვართ, სამბისტებს ხელფასი არა აქვთ, უშუქო დარბაზში ვარჯიშობენ..." — გვითხრა ოლეგ იაძემ.

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ტრადიციულად უხვი მოსავალი მოიმკეს რუსმა სამბისტებმა, რომლებმაც კაცთა და ქალთა შეჯიბრში ჯამში 9 ოქროს მედალი მოიპოვეს.

**ილია ნანოზაშვილი**

კალათბურთი

# კარმელო ენტონი:
## ეს მხოლოდ დასაწყისია




გაგიკვირდებათ, ვთქვათ, მაიკლ ჯორდანმა ავტობიოგრაფიული წიგნი რომ გამოაცხობს და შიგ რაღაც ასეთები დაწეროს — მეტოქეთა თავზე გადაფრენაში და კალათების დალაშქვრაში ესა და ეს უხილავი ძალა მეხმარებოდაო? სულ რომ გულზე არ გეხატებოდეთ კალათბურთი, მაინც მოგინდებათ ამ წიგნში ცალი თვალით ჩაჭყეტა, მაიკლ ჯორდანზე იქნება და ამიტომ.

მაგრამ ვინ არის კარმელო ენტონი? რას წარმოადგენს? რა გაუკეთებია? 20 წლის ბიჭის კვალობაზე იქნებ ბევრიც გაუკეთებია, მაგრამ ისეთი რა უნდა დაწეროს მან თავის ცხოვრებაზე? ერთი წელი სტუდენტებში მითამაშა, ერთი წელი ნბა-შიო... ალბათ იმას თუ მოგვითხრობს, 15 წლისა როგორ ოცნებობდა იქ მოხვედრაზე, სადაც ახლაა, კიდევ მულტიმილიონიან კონტრაქტზე და როგორ გადალახა სიძნელეები ამ ოცნების მწვერვალისკენ გზაზე.

წიგნიც თურმე მოზრდილი ბავშვებისთვის დაუწერია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ხეირიანად კითხვა არ იცის და სკოლაში და ქუჩაში პრობლემები აქვს.

კარმელო ენტონის „ნაწარმოებს" ჰქვია — „ეს მხოლოდ დასაწყისია". ჩანს, კიდევ აპირებს ერთი ორის დაწერას.




# ბოლი გადარჩა

„თავიდან ხალხს არც ეგონა, რომ გადავრჩებოდი. ახლა კი თანდათან სიარულსაც ვიწყებ" — სამი თვის წინ საშინელ ავტოკატასტროფაში მოხვედრილი ნბა-ს ყოფილი მოთამაშე მანუტე ბოლი ალბათ მალე გამოეწერება კონექტიკუტის კლინიკიდან. 41 წლის და 231-სანტიმეტრიან სუდანელს არც სამკურნალო ფული ჰქონდა და მით უმეტეს არც დაზღვევის პოლისი. ბოლოს ისევ ყოფილი თანაგუნდელები კრის მულინი, მიჩ რიჩმონდი და ტიმ ჰარდევეი დაეხმარნენ, ვისთან ერთადაც ბოლს ოდესღაც „გოლდენ სტეიტში" უთამაშია.



კრივი



ევანდერ ჰოლიფილდი ოდესღაც მართლაც დიდი მოკრივე იყო

# ჯერ მე ვარ, მერე ალი
## ევანდერ ჰოლიფილდი არ მოისვენებს, სანამ არ გაასვენებენ



**ვისთვის** ლეგენდამ და ვისთვის ჩვეულებრივმა საკრივო შოუმენმა ევანდერ ჰოლიფილდმა რინგზე დაბრუნება განიზრახა. მძიმე წონაში ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა მის უსკანდალესობა პრომოუტერ დონ კინგთან კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ორი ბრძოლის ორგანიზებას ითვალისწინებს.

43 წლის ჰოლიფილდი პირველ მუშტიკრივს 13 ნოემბერს ამერიკელ ლარი დონალდთან გამართავს ნიუ იორკის ცნობილ დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენში". ეს ის დონალდია, შარშანწინ ვიტალი კლიჩკოსთან რომ დამარცხდა და იქიდან მოყოლებული მხოლოდ წლეულს ივლისში შებედა პროფესიულ რინგზე. დონალდი 37 წლისაა, 46 პროფ-ბრძოლიდან 41 მოგება (აქედან 24 ნოკაუტით) მოუქუჩებია და მხოლოდ 3-ჯერ ჩამოუშვია მუშტები.

რა თქმა უნდა, ჰოლიფილდის ამბიცია მხოლოდ დონალდის „გალამაზებით" არ ამოიწურება. „ბაბუა" ევანდერის თქმით, ამ ბრძოლის მოგების შემდეგ უკვე WBA-ს საჩემპიონო ქამრისთვის ავა რინგზე. ისე, ისიც ვთქვათ, რომ ოდესღაც ტაისონისგან ყურმოკვნეტილი ჰოლიფილდი დიდ კრივში დაბრუნებას პირველად როდი აპირებს. მან ჯერ კიდევ მაისში გამოაცხადა, ვლადიმირ კლიჩკოსთან გაწევ-გამოწევაზე მოვაწერე ხელიო და თან ისეთი გახარებული იყო, რომ უძვირფასეს რესტორანში დიდი წვეულება გამართა, სადაც თურმე მარტო სასმელი 4 000 დოლარი დაუჯდა. თქვენც არ მომიკვდეთ, „ბაბუა" ჰოლიფილდს სულ ტყუილად შეუთხელებია ჯიბე, რადგანაც კლიჩკოსთან კონტრაქტზე მის გარდა არავის სმენია.

და მაინც, ახლა ევანდერი, მგონი, ჯიქურ უნდა მიიწევდეს ჩემპიონობისკენ. ამას წინათ ინდოეთში რაღაც მისიით ნასტუმრევმა თქვა, ყველას დავანახვებ, როგორი „ბებერიც" ვარო... „მე წლეულსვე შემიძლია ჩემპიონობის დაბრუნება. ამისთვის თუნდაც ერთ ჩემპიონს უნდა შევხვდე, მაგრამ ჩემთან რინგზე გამოსვლას რატომღაც ყველა ერიდება" — ეს კი წაიტრაბახა, მაგრამ ამერიკაში მის ომახიან საუბრებს მაინც ეჭვით უსმენენ და ჩემპიონობას თავი დავანებოთ, დონალდთანაც კი არ თვლიან ფავორიტად... ის კი არა, ეს მუშტი-კრივი ფინანსურადაც ვერ ჩანს მომგებიანი.

„12 წლის წინ რიდიკ ბოუსთან წაგებისას ერთი გავიფიქრე, მორჩა, რინგზე ჩემი ფეხი აღარ იქნება-მეთქი. თუმცა, შინ მისვლისას შვილი ატირებული დამხვდა და უცებ მოვიაზრე, ღმერთო, რას ვაკეთებ-მეთქი — ახალგაზრდობას იხსენებს ჰოლიფილდი — მაშინ შვილს ოცნება ავუხდინე და კიდევ მრავალი გამარჯვება ვაჩუქე. ახლაც იგივე ძალას ვგრძნობ და ამ გრძნობას ბოლომდე შევაკვდები."

საერთოდ ჰოლიფილდს ქვეშქვეშა მოკრივედ არ იცნობენ, მაგრამ მუშტისა არ იყოს, ენის ტარტალში კი აქვს ჭიპი მოჭრილი. აი, კიდევ ერთი „მარგალიტი": „ყველას პირზე აკერია მოჰამედ ალი, მაგრამ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე მე, ევანდერ ჰოლიფილდი ვარ, რადგანაც მხოლოდ მე მოვახერხე ზემძიმე წონაში ოთხჯერ გაჩემპიონება." ეს როგორ მოგზონთ?

შეგახსენებთ, „ბაბუა" ევანდერმა ბოლო ბრძოლა შარშან 4 ოქტომბერს გამართა და WBC-ის ამჟამინდელი რეიტინგის მოთავე და კლიჩკოსთან შეხვედრის უმთავრეს კანდიდატ ჯეიმს ტონისთან მე-9 რაუნდში დანოკაუტდა. საერთო ჯამში კი ჰოლიფილდის პროფესიული კარიერის აქტივ-პასივი ასეთია: 38 მოგება (25 ნოკაუტით) და 7 მარცხი.

მოკლედ, დიდ კრივს უძლები შვილი უბრუნდება, რომელსაც ბევრი სპეციალისტი და მეგობარი შინ ტკბილად ჯდომას ურჩევს. ენამწარეები კი გაიძახიან, სანამ ამ კაცს რინგიდან არ გაასვენებენ, ვერ მოისვენებსო...

**ილია ნანოზაშვილი**

# ნენიკიკამენ!

## მარათონის ბრძოლა



მარათონიდან ათენისკენ მორბენალი ფიდიპიდე და „მომაკვდავი ფიდიპიდე“

დასაწყისი „სარბიელი“ №223

**რაკიღა** მარათონის ბრძოლა ესოდენ მნიშვნელოვანია საბერძნეთისა და საერთოდ ევროპის ისტორიაში, რამაც მარათონული რბენის იდეაც დაბადა, ჩვენც გავიხსენოთ ათენელთა ის გამარჯვება.

იმ შორეული, ქრისტეშობამდე 490 წლის გაზაფხულზე სპარსეთის მეფე დარიუსმა მთელ თავის ფლოტს მოუყარა თავი და საბერძნეთს 600 გალერით მიადგა. იმ ქალაქთა შორის, რომლებმაც დარიუსს ხმელეთზე გადმოსვლის უფლება არ მისცეს და სასმელ წყალზეც უარი უთხრეს, ათენი და ერთრაც აღმოჩნდა. ერთრიელები მომხდურთ ექვსი დღე და ღამე გმირულად ებრძოდნენ, მაგრამ მეშვიდე დღეს ორმა მოღალატემ მტერს ქალაქის ჭიშკარი გაუღო. სპარსელებმა მთელი ქალაქი გადაწვეს და გადაბუგეს, მოქალაქენი კი შეიპყრეს და დაატუსაღეს. რამდენიმე დღის მერე მტერი ატიკისკენ გაემართა და მარათონს მიადგა.

მარათონი ათენზე საიერიშოდ მისწრებააო, ურჩია სპარსელებს ერთ დროს ათენის ტირანმა ჰიპიასმა, რათა ქალაქის დაცემით თავისი ძალაუფლება აღედგინა და განემტკიცებინა.

ათენელები მტერს სწორედ მარათონში დაუხვდნენ, უფრო სწორედ, დაბანაკდნენ წმინდა ევრეულიკის მთაზე, რომელიც სპარსელთა ბანაკს გადაჰყურებდა. ათენელები თვალნათლივ დარწმუნდნენ მტრის სიმრავლეში, ამიტომაც უხმეს ფეხმარდ ჯარისკაც ფიდიპიდეს, რათა გაქცეულიყო სპარტაში და დამხმარე ძალა ეთხოვა.

ფიდიპიდემ მარათონიდან სპარტამდე 150 მილი 48 საათში დაფარა. პლატონის მიხედვით სპარტელები მარათონთან დაბანაკებულ ათენელებს დახმარებას დაპირდნენ, ოღონდ მთვარის სრულ შევსებამდე ვერ ვიბრძოლებთო. იქვე განმარტეს, არასრული მთვარის პირობებში ყოველგვარ სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობა ღმერთებისგან გვეკრძალებაო. არადა, მთვარის შევსებამდე მთელი ერთი კვირა იყო.

სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ სპარტელები თავიანთი ერთ-ერთი რელიგიური ზეიმის გასრულებას ელოდნენ.

ასე იყო თუ ისე, ათენელები ურიცხვი მტრის პირისპირ მარტონი აღმოჩნდნენ. ფიდიპიდეს მოტანილმა ამბავმა ათენელთა ათი სარდლიდან ხუთი თავიანთ თავდაცვითუნარიანობაში დააეჭვა. ისინი ირწმუნებოდნენ, სჯობს სპარტელებს მოვუცადოთო. სარდალთა მეორე ნახევარი, მათ შორის მილტიადესი, თემისტოკლესი და არისტისი იმედიანად იყვნენ, მტერს უმალ გავდევნით ჩვენი მიწაწყლიდანო.

ამასობაში ათენელებისა და სპარტელების პირისპირ დგომის რვა დღე რომ მიილია, სპარსელებმა ჯარის ხომალდებში დაბრუნება და პირდაპირ დაუცველ ათენზე იერიში განიზრახეს. სწორედ ამ დროს მილტიადესმა მტერზე მოულოდნელად თავდამსხმა გადაწყვიტა.

მილტიადესმა თავის ძალებს ფლანგებზე მოუყარა თავი, რადგან მტრის ისრები ცენტრში უფრო სახიფათონი იქნებოდნენ. მილტიადეს ბრძანებით ათენელები მტერს 200 მეტრით მიუახლოვდნენ, მერე კი სწრაფად გავარდნენ მომხდურებისკენ და მათ მოწინავე რიგებში უმალ შეიჭრნენ, რითაც სპარსელთა ისრები აიცილეს. დაიწყო მძიმე ბრძოლა და სპარსელებმა ათენელთა ცენტრში ხალვათობა რომ დაინახეს, უმალ იქით შეუტიეს. მილტიადესიც ამას ელოდა, თავის ჯარს ფლანგებიდან ცენტრისკენ შემობრუნება უბრძანა, რითაც მტერი ვიწროებში მოექცა. მოულოდნელი იერიშისგან დაბნეულმა და თავგზააბნეულმა მტერმა უკან დაიხია და ბრძოლა ახლა სანაპიროსთან გაგრძელდა, მაგრამ სპარსელებში უკვე პანიკა გამეფებულიყო და ისინიც თავიანთი ხომალდებისკენ უკანმოუხედავად გარბოდნენ. მათ ხომალდებს ათენელებმა ცეცხლმოკიდებული ისრები დაადევნეს...

მარათონის ბრძოლას ბევრი მითი და ლეგენდა დაუკავშირდა. ამ შეტაკებისას უცნაური ამბავი გადახდა ათენელი კუპაგორის ვაჟიშვილ ეპიზელოსს, რომელიც ბრძოლის ველზე დაბრმავდა. მან მოგვიანებით თქვა, ბრძოლისას ჩემს წინ აღიმართა გოლიათი ჯარისკაცი, რომელსაც თეთრი წვერი მთელ ტანს უფარავდა და მტერს მუსრს ავლებდაო. ეს ღმერთიაო, უფიქრია ეპიზელოსს, რომელიც სწორედ იმ გოლიათი თეთრწვერას ბრწყინვალებამ დააბრმავა.

ათენელებს მართლაც სჯეროდათ, რომ მარათონის ბრძოლაში მათ ღმერთები ეხმარებოდნენ. თავად მარათონელი მოსახლეობა საუკუნეების მერეც კი ირწმუნებოდა, გადმოცემის მიხედვით ჩვენს თანასოფლელებს ღამ-ღამობით ბრძოლის ყიჟინა და ცხენების ჭიხვინი ესმოდათო.

იმასაც იხსენებენ, რომ ბრძოლის ღმერთი პანი ალმა-დალმა დაჰქროდა და სპარსელთა რიგებში შიში და პანიკა შეჰქონდა.

ლეგენდასავით მოიხსენიებენ იმ ფეხმარდ ჯარისკაც ფილიპიდესაც, რომელიც ამ ბრძოლამდე სპარტას გაიქცა დახმარების სათხოვნელად. იქიდან მობრუნებულმა ამბავი ჩამოიტანა, პელოპონესში ღვთაება პანი გამომეცხდა, სახელით მომმართა და მითხრა, თუ ათენელები თაყვანს მცემენ და გამაღმერთებენ, მე მათ დავიცავო.

მართლაც, მარათონის ველზე გამარჯვების მერე ათენელებმა აკროპოლისში პანს აკლდამა აუგეს. ათენელებმა ამ გამარჯვებაში სხვა ღმერთებსაც დაუდეს: მათ ნადავლის ნაწილი აპოლონს მიუძღვნეს, ნაწილი არტემიდეს და ნაწილი ათენას. იმ ნადავლის წყალობით ფიდიასმა აკროპოლისში სპილოს ძვლისგან გამოკვეთა და აამართა ათენას ქანდაკება, რომელიც ოქროთი შემოსა.

დიდი პატივი მიაგეს მარათონის ბრძოლაში დაღუპულებსაც, მათ შორის მტრებსაც, რომლებიც მიწას მიაბარეს და მათი საძმო საფლავის ადგილზე 50 მეტრის ფართობისა და 9-მეტრიანი სიმაღლის ბორცვი წარმოიშვა.

ათენელებმა ამ ბრძოლაში, ეტყობა საბერძნეთის ისტორიაში პირველად გამოიყენეს ტყვეებიც, რომლებიც სიკვდილის მერე ისევე დაკრძალეს, როგორც თავისუფალი მოქალაქენი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფეხმარდ ფილიპიდეს, რომელსაც ბრძოლის მერე მილტიადესმა ათენში გაქცევა და გამარჯვების ამბის ჩატანა უბრძანა;

ფილიპიდემ იმის შიშით, რომ გზად შესაძლოა ცოცხლად გადარჩენილ მტერს გადავეყაროო, სრული საბრძოლო აღჭურვილობით გადაირბინა ველ-მინდვრები, მდინარეები, მთები და უღელტეხილები. და როდესაც ათენის ჭიშკართან მოლოდინით აღსავსე თანამოქალაქეებთან შეიჭრა, ერთი კი შესძახა, „ნენიკიკამენ!“ — ჩვენ გავიმარჯვეთო და სულიც დალია.

მილტიადეს ტრაგიკული აღსასრული ხელოვნებაშიც აისახა. მერე მომაკვდავი ფილიპიდეს ქანდაკება 1908 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მარათონულ რბენში გამარჯვებულისთვის საბერძნეთის მეფე გეორგ V პრიზად დააწესა.

მარათონული რბენის სპორტულ დისციპლინად დაარსების იდეა და მისი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანა ფრანგ ფილოლოგს, აკადემიკოს მიშელ ბრეალს მოუვიდა. ბრეალი როცა ანტიკური ოლიმპიას ნანგრევებს შვილთან ერთად ათვალიერებდა, ხმამაღლა გაიფიქრა, ნეტა თანამედროვე ათლეტები თუ შეძლებენ ფიდიპიდეს გმირული მარშრუტით 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენასო. მერე ბრეალმა 1895 წელს როგორც კი შეიტყო, პარიზის კონგრესზე ანტიკური ოლიმპიური თამაშების აღორძინება გადაწყდაო, ამ საქმის ინიციატორსა და სულისჩამდგმელს, თავის მეგობარ ფრანგ ბარონს პიერ დე კუბერტენს მისწერა: „თუ ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი აღადგენს მარათონელი ჯარისკაცის ლეგენდარული გმირობის მარშრუტით რბენას და ჩართავს შეჯიბრების პროგრამაში, სიამოვნებით დავაწესებ სპეციალურ ჯილდოს გამარჯვებულისთვის.“

**ავთანდილ გურასაშვილი**

გაგრძელება იქნება



ათენელ სარდალთა ბჭობა მარათონის ბრძოლამდე



სოფელი მარათონი 1870 წლის ნახატზე

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთექვსმეტე ეტაპი

# ტრიუმფერატორი
## ჩინეთს კიდევ სიწითლე აკლდა?!

*მაშ ასე, საფორმულო რუკას კიდევ ერთი ქვეყანა შეემატა. ჩინეთი გახდა 26-ე სახელმწიფო, რომლის სახელობის ეტაპიც ჩატარებულა „სამეფო რბოლების" 55-წლიან ისტორიაში. ფანტასტიკური „შანხაი-ინტერნეშენელის" ტრიბუნებზე თავმოყრილმა თითქმის 250 ათასმა მაყურებელმა კვირას დაუვიწყარი სანახაობა იხილა. რაც უმთავრესია, უფართოეს, უხიფათო და იმავდროულად საკმაოდ ჩქაროსნულ ტრასაზე ავარია არ მომხდარა. ხოლო რაც შეეხება სისწრაფეს, 5,451-კილომეტრიანი წრის საშუალო სიჩქარის რეკორდი – 212,8 კმ/სთ მერვეა წლევანდელ 18 საფორმულო ტრეკს შორის*



ჯენსონ ბატონმა და რუბენს ბარიკელომ ჩინეთში თავისი გაინაღდეს

მილიარდნახევრიანი „წითელი" ქვეყნის პირველი ტრიუმფერატორი გახდა იტალიურ „წითელი" საჯინიბოს ბრაზილიელი მრბოლი. 32 წლის რუბენს ბარიკელოს „ფერარიმ" შაბათს კვალიფიკაციაშიც ყველას აჯობა და არც რბოლაში დაუტოვა მეტოქეებს წარმატების იოტისოდენა შანსი — თავიდანვე დაწინაურებულმა ფინიშის ხაზიც ყველაზე ადრე გადაკვეთა. რუბინიომ 196-რბოლიან კარიერაში მე-9 დიდი პრიზი მოიგო და რაც მთავარია, ორი წლის შემდეგ მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ვიცეჩემპიონობა.

ცხადია, აქვე ისიცაა სათქმელი, რომ შანხაიში მიზანს BAR-ის პილოტმა ჯენსონ ბატონმაც მიაღწია. 24 წლის ინგლისელი შეუდარებელი იყო ტრასაზე, სეზონში მეოთხედ შედგა პოდიუმის მეორე საფეხურზე და რაც მისთვის მთავარია, თავის მეხუთე ჩემპიონატში პირველად გავიდა საერთო მესამე ადგილზე. რაც შეეხება ბატონის ბარ-იდან „უილიამსში" გადასვლას, კონფლიქტური საკითხის განხილვა გადაიდო და საქმეს საბოლოოდ ერთი თვის შემდეგ, ბრაზილიური ეტაპის დღეებში გაარჩევენ.

ყველა მოუთმენლად ელოდა ფორმულასთან ერთწლიანი იძულებითი განშორების შემდეგ სარბიელზე მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონ ჟაკ ვილნევის დაბრუნებას. მით უფრო, რომ 33 წლის კანადელი თავისი ახალი გუნდის შეფ ფლავიო ბრიატორეს საქვეყნოდ შეპირდა, მოგების იმედით ვბრუნდები და ყველაფერს ვილონებ, რომ „რენოს" კონსტრუქტორთა თასზე მეორე ადგილი მოვაპოვებინოო.

ვერ მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, თავის წლევანდელ სადებიუტო ეტაპზე — კვალიფიკაციაც ჩააფლავა, მხოლოდ მე-12 იყო; რბოლაშიც ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი, თუმც იყო ერთადერთი მომენტი, როცა ჟაკმა მართლაც ოსტატურად გაასწრო უილიამსელ ხუან-პაბლო მონტოიას. თუმც რა, საბოლოოდ მხოლოდ მე-11 ადგილი და „რენო" ბარ-თან უკვე ცხრა ქულას აგებს.

ჩემპიონატში მეორე დაბრუნებული რალფ შუმახერი გახლავთ. კვლავაც შეგახსენებთ, რომ სამი თვის წინ აშშ-ის დიდი პრიზისთვის რბოლისას ავარიის მიზეზით მან ექვსი ეტაპი გამოტოვა. რალფი ჟაკზე უკეთ გამოიყურებოდა, 300-კილომეტრიანი დისტანციის ორ მესამედზე მისი „უილიამსი" არც თუ ურიგო, მეხუთე პოზიციას ინარჩუნებდა, მაგრამ ფინიშამდე 19 წრით ადრე მოსახვევში მაკლარენელ დევიდ კულჰარდთან შეჯახების შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა.

თავიდან ისე ჩანდა, თითქოს რალფმა მოსახვევის წინ დევიდს გზა მოუჭრაო, მაგრამ ინციდენტის გაანალიზებამ აჩვენა, რომ კულჰარდმა გასწრება გვიან დაიწყო და პატარა წუთის სრ-ჩევანი ალარ დაუტოვა. ერთი სიტყვით, რბოლის შემდეგ [illegible]-დმა რალფს მომხდარზე მოუბოდიშა. შეჯახების შედეგად საბურავის გასკდომამ კულჰარდს რბოლაში დროც და ჩასათვლელ ადგილიც დააკარგვინა.

ახლა ჩემპიონზეც ვთქვათ. მიხაელ შუმახერს ამგვარი უიღბლო ეტაპი, მგონი, აქამდე არ ჰქონია. პარასკევს თავისუფალი ვარჯიშისას „ფერარი" ისე გაუჯიქდა, მხოლოდ მერვე შედეგი აჩვენა. შაბათს საკვალიფიკაციო წრის პირველივე მოსახვევში ბოლიდი გზიდან გადაუსრიალდა და სულაც დროის გარეშე დარჩა. ამის გამო მიხაელმა კვირას სტარტიც ყველაზე უკან, ბოქსებიდან და თანაც საგრძნობი დაგვიანებით აიღო, თუმც პრობლემები არც მერე მოკლებია — ერთხელ მანქანა ტრასიდან გადაუსრიალდა, ფინიშამდე ასიოდე კილომეტრით ადრე „ბრიჯსტოუნის" საბურავიც გაუსკდა და ფინიშთან მხოლოდ მე-12 მივიდა. ამდენი დავიდარაბის მიუხედავად, რაგინდ გასაკვირიც უნდა ჩანდეს, მიხაელ შუმახერმა ჩინური ეტაპი მორიგი რეკორდით დაასრულა — რბოლაში წრე უსწრაფესად გაიქროლა და ეს სეზონში მეათედ შეძლო.

**გია ახალაძე**

### უსწრაფესი წრე სეზონში

| | | | |
|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | ფერარი | 10 | 2004 |
| მიკა ჰაკინენი | მაკლარენი | 9 | 2000 |
| ნაიჯელ მენსელი | უილიამსი | 8 | 1992 |
| მიხაელ შუმახერი | ბენეტონი | 8 | 1994 |
| მიხაელ შუმახერი | ბენეტონი | 8 | 1995 |
| ნელსონ პიკე | უილიამსი | 7 | 1986 |
| ალენ პროსტი | მაკლარენი | 7 | 1988 |
| მიხაელ შუმახერი | ფერარი | 7 | 2002 |



მიხაელ შუმახერი
წაგებულიც მოგებულია: შანხაიში
წრის რეკორდი დაამყარა


## ქართული სპორტის ფოტოისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, ალიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.


### ფეხბურთი

**ინგლისი**
პრემიერლიგა. VII ტური
ჩარლტონი 1:0 ბლეკბერნი

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. VI ტური
კოტბუსი 1:1 მიუნხენი

**იტალია**
სერია B. IV ტური
ვერონა 5:3 არეცო

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. X ტური
გენიონი 0:0 სედანი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. IV ტური
ეშტორილი 1:0 ბელენენსეში

**შვედეთი**
ალსვენსკა. XXII ტური
გიოტებორგი 1:0 კალმარი
სუნდსვალი 1:1 აიკ
ჰელსინგბორგი 0:1 ლანდსკრონა

**ნორვეგია**
ტიპელიგა. XXII ტური
ვოლერენგა 1:1 ტრომსიო

**ჩეხეთი**
გამბრინუსლიგა. VII ტური
ბრნო 1:3 ტეპლიცე


რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



## ჯანები ციხეში

ციხეში რომ ამდენ კუნთს მოისხამ, ჩანს, იქ კარგი გირები და შტანგები შეუტანიათ. ეს ჯეილები პატიმრები არიან პერუში, სარიტა კოლონიას ციხეში შეკრებილან მთელი მსოფლიოდან, თვით საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდანაც კი, ასზე მეტი პატიმარი მსოფლიო მედიის თვალწინ ათამაშებდა თავიანთ ბატიბუტებს.

## აი, რამხელაო

აჰა, ამოტოლა თევზი დავიჭირეო, ამაყობს ინგლისელი კრის ვუდროუ. რუმინეთში კი სარულესტის ტბაზე თევზაობის რიგით მესამე მსოფლიო თასი მიმდინარეობს. შეჯიბრში 21 ქვეყნის 80 გუნდი ჩაბმულა.





## ძველებურად

ბერლინში კარგი საჩოგბურთო შოუ იყო. ერთმანეთს შტეფი გრაფი და გაბრიელა საბატინი შეხვდნენ . ხალხიც ახალისეს, თავადაც იხალისეს და ბოლოს ისე გამოვიდა, როგორც ძველად ხდებოდა: ორივე პარტია შტეფიმ მოიგო.

## თავად მიულოცა

ათენის პარაოლიმპიადის გამარჯვებულს, გერმანელ ვოიტეკ ჩყიჟს 200 მეტრზე რბოლაში გამარჯვება თავად ქვეყნის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა მიულოცა, რომელიც საგანგებოდ ჩასულა საბერძნეთის დედაქალაქში.



## გრინი დამხმარედ

სამხრეთ კორეაში, ქალაქ პუსანში მძლეოსანთა შეჯიბრება მიმდინარეობს და მთავარ მრჩევლად ახალგაზრდებს ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი, ამერიკელი მორის გრინი ჰყავთ. იმის დაწყობილი საფეხეები სულ სხვაა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge